

სადოქტორო განათლება საქართველოში
ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის კონტექსტში



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორის მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

1. სადოქტორო განათლება და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცე: ზალცბურგის პრინციპები

1.1. შესავალი

1.2. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო

1.3. სადოქტორო განათლების ძირითადი მახასიათებლები ზალცბურგის პრინციპების მიხედვით

2. სადოქტორო განათლება საქართველოში და ზალცბურგის პრინციპები

2.1. დოქტორანტურა და განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

2.2. სადოქტორო განათლების ხელმისაწვდომობა

2.3. სადოქტორო განათლების განმარტება

2.4. სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფა - აკრედიტაცია

2.5. ერთობლივი პროგრამები - თანამშრომლობა ეროვნულ, საერთაშორისო და ინტერსექტორულ დონეზე

2.6. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები და სადოქტორო სკოლები

2.7. სადოქტორო განათლების დაფინანსება

3. რეკომენდაციები

4. გამოყენებული ლიტერატურა

5. დანართები

დანართი 1: ზალცბურგის პრინციპები - 2005

დანართი 2: ზალცბურგის პრინციპები II – 2010

დანართი 3: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობა სადოქტორო განათლების ძირითად მახასიათებლებთან

1. სადოქტორო განათლება და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცე: ზალცბურგის პრინციპები

1.1. შესავალი

XXI საუკუნეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის ეკონომიკასა და საზოგადოებას, რომელთა ფორმირების პროცესში საკვანძო როლი უნდა შეასრულონ უნივერსიტეტებმა, განსაკუთრებით თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობით, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა დოქტორანტურის განვითარებაა. სწორედ ამიტომ სადოქტორო განათლება ევროპული კვლევითი სივრცისა (ERA) და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის (EHEA) ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელთა წევრობაც ჩვენი ქვეყნისგანაც მიზანმიმართული პოლიტიკის ფორმირებასა და მის თანმიმდევრულ გატარებას მოითხოვს. „რეფორმებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებათ ევროპის მდგრადი განვითარებისთვის და არსებითია გლობალური კვლევითი საზოგადოებისთვის. ევროპა ხდება სადოქტორო განათლების რეფორმების გლობალური ლიდერი“.¹ შესაბამისად, ევროპული ინტეგრაციის გზაზე შემდგარი საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაცნობა და გაზიარება სადოქტორო განათლების სფეროშიც.

სადოქტორო განათლების შესახებ მსჯელობისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო არის პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, რომელმაც სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა უზრუნველყო 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე, ანუ ბოლონის დეკლარაციაზე ხელმოწერიდან ორი აკადემიური წლის განმავლობაში (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 87, 7). აღსანიშნავია, რომ იმ მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებს, რომლებიც ბოლონის პროცესს უფრო ადრე ან იმავე წელს შეუერთდნენ (აზერბაიჯანი, მოლდოვა, რუსეთი, სომხეთი, უკრაინა) ანალოგიური რეფორმა ჯერ კიდევ არ გაუტარებიათ.

რა თქმა უნდა, მისასაღმებელია ჩვენი ქვეყნის მოქნილობა და ოპერატიულობა სადოქტორო განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში, რამაც ცალსახად შეუწყო ხელი ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, დოქტორანტებისა და მკვლევართა მობილობას, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დიპლომების აღიარებას და სხვ. თუმცა რეფორმების სწრაფმა ტემპმა, ზოგჯერ ნაჩქარევმა და გაუაზრებელმა ნაბიჯებმა, არასაკმარისმა დაფინანსებამ და შესაბამისი ცოდნისა და მზაობის მქონე ადამიანური რესურსის ნაკლებობამ განაპირობა დოქტორანტურის საფეხურზე არსებული მთელი რიგი პრობლემები და გამოწვევები, რომელთა იდენტიფიკაციაც უკვე მოხდა სხვადასხვა კვლევების ფარგლებში.²

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოში სადოქტორო განათლების შეფასებასა და მისი განვითარების პერსპექტივების წარმოჩენას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან მიმართებაში.

¹ Salzburg II Recommendations, 2010, p. 3.

² მაგალითად, იხ.: ნინო ჯავახიშვილი, ფატმან წერეთელი, ნათია ხუჯაძე, თინათინ თიაბაშვილი, 2012; ქეთევან გურჩიანი, თამარ ბრეგვაძე, სიმონ ჯანაშია, მარიამ დალაქიშვილი, ნინო რჩეულიშვილი, ქეთევან ცოტნიაშვილი, 2014.

სადოქტორო განათლება ბოლონის პროცესის ნაწილი გახდა 2003 წლის ბერლინის მინისტრიალის შემდეგ,³ ხოლო მისი ძირითადი მახასიათებლები, მიზანდასახულობა, შინაარსისა და სტრუქტურის განმსაზღვრელი საკვანძო საკითხები პირველად წარმოდგენილ იქნა „ზალცბურგის პრინციპების“ სახით, რომლებიც მიღებულ იქნა 2005 წლის თებერვალში, როგორც დასკვნები და რეკომენდაციები ბოლონის სემინარისა „სადოქტორო პროგრამები ევროპის ცოდნის საზოგადოებისთვის“ (ქართული თარგმანისთვის იხ. დანართი 1).⁴

2005 წლის შემდეგ ევროპულ უნივერსიტეტებში საკმაოდ აქტიურად დაიწყო ზალცბურგის პრინციპების - „როგორც დოქტორანტურის მუდმივი განვითარების საფუძვლები“ - დანერგვა, რამაც არსებითად შეცვალა ევროპული სადოქტორო განათლების ლანდშაფტი. რეფორმების პროცესში დაგროვდა ცოდნა და გამოცდილება, დაზუსტდა ბევრი საკითხი და საჭირო გახდა ზალცბურგის პრინციპების გამყარება, დაზუსტება და გაფართოება, მათი „გამდიდრება“, რაც განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ეგიდით, როგორც „ინიციატივა ზალცბურგი II“ (ე.წ. ზალცბურგის რეკომენდაციები) (ქართული თარგმანისთვის იხ. დანართი 2).

2010 წლის ივნისში, ბერლინში გამართულ ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრაზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც დაეფუძნა ზალცბურგის პრინციპებს, დაადასტურა მათი საფუძვლიანობა/ვალიდურობა და მათ უფრო კონკრეტული შინაარსი შესძინა.^{5,6}

ზალცბურგი II რეკომენდაციები - სახელმძღვანელო პრინციპები სადოქტორო პროგრამებისა და სკოლების მრავალფეროვნებისა და განვითარებისთვის - იყოფა სამ კატეგორიად. რეკომენდაციების პირველი კატეგორია შეეხება, ძირითადად, სადოქტორო განათლების შინაარსობრივ, კონცეპტუალურ, სტრუქტურულ საკითხებს და წარმოგვიდგენს დოქტორანტურას, რომელიც ეფუძნება ორიგინალურ კვლევით პროექტს და, ამდენად, განსხვავებულია სწავლების პირველი და მეორე საფეხურებისგან. რეკომენდაციების მეორე კატეგორია მიემართება უნივერსიტეტებსა და კანონშემოქმედებით ორგანიზაციებს, ანუ მათ, ვინც ქმნის საკანონმდებლო ჩარჩოს სადოქტორო განათლების განვითარებისთვის, ხოლო მესამე კატეგორია განკუთვნილია დაინტერესებული მხარეებისთვის უნივერსიტეტს გარეთ, ანუ მათთვის, ვინც იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ინსტიტუციური ავტონომიურობისა და დოქტორანტურის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ზალცბურგის პრინციპებსა და ზალცბურგის რეკომენდაციებს მოჰყვა და მათ დაეფუძნა კიდევ ერთი დოკუმენტი - „სადოქტორო განათლება - წინ, ზალცბურგისკენ - იმპლემენტაცია და გამოწვევები“, რომელიც მიიჩნევა რეფორმების სახელმძღვანელო პრინციპებად. ამ დოკუმენტის შემუშავებაში 39 ქვეყნის 200-ზე მეტი უნივერსიტეტი და ორგანიზაცია მონაწილეობდა და ის

³ბერლინის კომუნიკე:

http://www.ehea.info/Upload/document/ministerial_declarations/2003_Berlin_Communique_English_577284.pdf.

⁴ <https://eua.eu/resources/publications/626:salzburg-2005-%E2%80%93-conclusions-and-recommendations.html>.

⁵ ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრას ესწრებოდა 36 ქვეყნის 165 დაწესებულების 220 წარმომადგენელი. წილად მხვდა პატივი, მონაწილეობა მიმელო აღნიშნულ შეხვედრაში როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იმ დროისათვის ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს წევრი ერთადერთი ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენელს.

⁶ <https://eua.eu/resources/publications/615:salzburg-ii-%E2%80%93-recommendations.html>

განხილულ იქნა 2015 წლის ივნისში, მიუნხენში გამართულ ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრაზეც. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია, ძირითადად, სადოქტორო განათლების კვლევითი კომპონენტის სხვადასხვა ასპექტზე და ისეთ საკითხებზე, როგორცაა ინსტიტუციური სტრუქტურები, დიალოგის აუცილებლობა, კვლევითი პოტენციალისა და ნიჭის განვითარება, აკადემიური კეთილსინდისიერების ეთოსის ფორმირება, ციფრული გამოწვევები, მეცნიერების გლობალიზაცია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და სხვ. 2015 წლის „სახელმძღვანელო პრინციპების“ პათოსი დაახლოებით ასეთია: „ბოლო ხუთ წელიწადში ბევრი ახალი გამოწვევა გაჩნდა: დიגיტალიზაციამ შესაძლებელი გახადა ღია კვლევების, ღია განათლებისა და სოციალური მედიის განვითარება; სასწრაფოდ არის საჭირო აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის სწავლება; კვლევა სულ უფრო და უფრო გლობალური ხდება. ეს გამოწვევები დაწესებულებებისგან მოითხოვს მიდგომების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეკომენდაციების ადაპტაციას, რათა მოამზადონ მკვლევარები ისეთი კვლევითი გარემოსთვის, რომელიც ძალიან განსხვავდება მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების გარემოსგან“.⁷

1.2. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო

როგორც უკვე აღინიშნა, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სადოქტორო განათლების განვითარების კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა სადოქტორო განათლების საბჭომ (EUA CDE), რომელიც ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ბაზაზე დაარსდა 2008 წელს და რომელიც დღემდე ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება ევროპული დოქტორანტურის პოლიტიკის კუთხით.⁸

აღნიშნული საბჭოს მიზნებია: 1. სადოქტორო სწავლების განვითარება ევროპულ უნივერსიტეტებში და ამ სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაცვლა, გავრცელება; 2. ინსტიტუციური სტრატეგიების განვითარების ხელშეწყობა და ამ სფეროში ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის დადებითი გამოცდილების გაზიარება უნივერსიტეტებისათვის; 3. ევროპულ უნივერსიტეტებში სადოქტორო განათლების შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 4. ევროპასა და მის გარეთ სადოქტორო განათლებაში წარმოჩენილი ტენდენციების გაცნობიერება და მონიტორინგი; 5. ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლობითი ხმის უფლებით სარგებლობა სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგისას; 6. სადოქტორო სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; 7. სადოქტორო სწავლებასა და კვლევას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება და განვითარება მთელი ევროპის მასშტაბით; 8. სადოქტორო სწავლების შემდგომი სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ საქართველოში სადოქტორო განათლების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გაწევრიანდნენ ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოში (EUA CDE), რაც მათ საშუალებას მისცემს: 1. გაიზიარონ ევროპელი კოლეგების საუკეთესო გამოცდილება სადოქტორო განათლების მიმართულებით; 2. მონაწილეობა მიიღონ სადოქტორო განათლების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებულ ვორკშოპებში, სემინარებსა და

⁷ Doctoral Education - Taking Salzburg Forward, 2016.

⁸ <https://eua-cde.org/>.

შეხვედრებში; 3. მონაწილეობა მიიღონ ყოველწლიურ თემატურ კონფერენციასა და საბჭოს წევრთა შეხვედრაში; 4. რეგულარულად მიიღონ ინფორმაცია დოქტორანტურასთან დაკავშირებულ ახალ ტენდენციებზე ევროპასა და მსოფლიოში (პუბლიკაციები, კონფერენციის მასალები, სიახლეები და სხვა); 5. მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ კვლევით პროექტებში და სხვ.⁹

თანამშრომლობა ინდივიდუალურად, ინსტიტუციურ დონეზე უდავოდ სასარგებლოა, თუმცა საქართველოში დოქტორანტურა განვითარების სრულიად ახალ, თვისობრივად განსხვავებულ ეტაპზე გადავა იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი გახდება სტრატეგიული, უფრო კომპლექსური და მასშტაბური თანამშრომლობის დამყარება ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოსთან. ამ შემთხვევაში გამართიანებელი ძალისა და სტრუქტურის ფუნქცია შეიძლება შეიძინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბაზაზე არსებულმა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორთა საბჭომ. შესაძლებელია Erasmus+ ე.წ. ეროვნული პროექტის ინიცირებაც, რომელშიც ჩართული იქნებიან როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ანუ ის „მოთამაშეები“, რომლებიც ქმნიან და ახორციელებენ განათლების პოლიტიკას უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და გლობალურ დონეზე ევროპული სადოქტორო განათლების როლის გაძლიერებაა, რასაც ემსახურება აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ბოლო წლებში ევროპის ფარგლებს მიღმა ორგანიზებული შეხვედრები, კონფერენციები და პროექტები. მაგალითად, სხვადასხვა სახის აქტივობა ჩინეთთან, რუსეთთან, ბრაზილიასთან და ინდოეთთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით,¹⁰ პროექტი CODOC აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებთან კოოპერაციით,¹¹ პროექტები MIMIR,¹² Yebo¹³ და

⁹ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის წვლილი, რომელიც ტემპუსის/Erasmus+ ეროვნულმა ოფისმა შეიტანა ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოსთან თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებაში. 2009 წლიდან მოყოლებული უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტები (ირინე დარჩია, ქეთევან გურჩიანი) სწორედ ევროკავშირის დაფინანსებით მონაწილეობდნენ აღნიშნული ორგანიზაციის სხვადასხვა ღონისძიებაში, რასაც მოყვა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასში გაწევრიანება და გარკვეული ცვლილებები სადოქტორო განათლების საუნივერსიტეტო რეგულაციებში (პირადად მე წილად მხვდა პატივი ტემპუსის/Erasmus+ დაფინანსებით მონაწილეობა მიმედო ლოზანისა და მადრიდის ყოველწლიურ შეხვედრებში, ზაგრების ვორკშოპში სტრუქტურირებული სადოქტორო განათლების შესახებ).

დღეისათვის საქართველოს ოთხი უნივერსიტეტია გაწევრიანებული ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი): <https://eua-cde.org/membership.html>. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 2020 წლის 23-24 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს თემატურ ვორკშოპს აკადემიური კარიერის განვითარების შესახებ (<https://eua.eu/events/100-2020-eua-cde-thematic-workshop.html>).

¹⁰ <https://www.eua-cde.org/the-doctoral-debate/12:eua-cde-in-the-world.html>.

¹¹ https://www.eua-cde.org/downloads/publications/2012_jorgensente_codoc-cooperation-international-education.pdf.

¹² <https://www.mimirproject.org/>.

¹³ <https://yebo.edu.umontpellier.fr/>.

FRINDOC¹⁴ ევროკავშირის სამხრეთ სამეზობლოს, სამხრეთ აფრიკის ქვეყნებისა და სამი კონტინენტის სხვადასხვა უნივერსიტეტის მონაწილეობით და სხვ. ბუნებრივია, საქართველოს - თავისი მასშტაბებიდან და გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე - გაუჭირდება კონკურენცია ზემოთ მოყვანილ გლობალურ მოთამაშეებთან, თუმცა შესაძლებელია მასშტაბური პროექტის ინიცირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის (აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა, საქართველო, სომხეთი), რაც შეიძლება განსაკუთრებით აქტუალური იყოს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სწავლების მესამე საფეხურის იმპლემენტაცია ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია.

აღსანიშნავია, რომ ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს გარდა, არსებობს სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო გაერთიანებები. მაგალითად, აშშ-ს სადოქტორო სკოლების საბჭო (CGS),¹⁵ ჩინეთის სადოქტორო სკოლების ასოციაცია (ACGS),¹⁶ სადოქტორო განათლების პროფესიონალთა ასოციაცია (PRIDE),¹⁷ გერმანული უნივერსიტეტების სადოქტორო სწავლების ასოციაცია (UniWiND/GUAT),¹⁸ მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინისტრირებაში ევროპის სადოქტორო განათლების ასოციაცია (EDAMBA)¹⁹ და სხვ.

საქართველოში დოქტორანტურის განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა აღნიშნულ გაერთიანებებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა, მათი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, თუმცა ჩვენთვის, როგორც ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წევრისთვის, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპასთან ინტეგრაციის სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ევროპული გამოცდილების გაზიარებას, ევროპულ სადოქტორო განათლებასთან ჰარმონიზაციას, რაც შეიძლება მომგებიანი იყოს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც, როგორც ერთ-ერთი დამატებითი წინაპირობა და ინსტრუმენტი იმისთვის, რომ საქართველომ - დოქტორანტურის ფარგლებში შექმნილი ახალი ცოდნით, ცოდნის სამკუთხედის ფარგლებში დამყარებული საერთაშორისო კავშირებით - თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის ცოდნის ეკონომიკისა და საზოგადოების მშენებლობაში.

1.3. სადოქტორო განათლების ძირითადი მახასიათებლები ზალცბურგის პრინციპების მიხედვით

როგორც უკვე აღინიშნა, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში სადოქტორო განათლების განვითარების ძირითადი ტენდენციები, პრიორიტეტები და გამოწვევები წარმოდგენილია ზალცბურგის პრინციპებში, რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში (2005, 2010, 2015 წლები).

აღნიშნული დოკუმენტებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სადოქტორო განათლება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სწავლების მესამე,

¹⁴ <https://www.eua.eu/101-projects/582-frindoc.html>.

¹⁵ <https://cgsnet.org/>.

¹⁶ <http://www.acgs.pku.edu.cn/english/index.htm>.

¹⁷ <http://www.pride-network.eu/>.

¹⁸ <https://www.uniwind.org/>.

¹⁹ <http://www.edamba.eu/r/default.asp?iId=Ghmkje>.

დამავირგვინებელი საფეხური, რომლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები და ასპექტები:

ახალი ცოდნის შექმნა და არსებული ცოდნის განვითარება ორიგინალური კვლევის საშუალებით; „სწავლება კვლევით“ - სასწავლო კომპონენტი როგორც სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მხარდამჭერი, დამხმარე საშუალება; ეფექტიანი და კოლაბორაციული სამეცნიერო ხელმძღვანელობა; შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და თანამედროვე გამოწვევების დაკმაყოფილება; სადოქტორო განათლების ინტეგრაცია ინსტიტუციურ სტრატეგიაში; დოქტორანტების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე, მათ კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა; ერთობლივი პროგრამები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; ერთობლივი ინტერდისციპლინური, ინტერსექტორული პროგრამები; სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები და სადოქტორო სკოლები - მართვის მოქნილი და ეფექტიანი სისტემა; დოქტორანტების მიღების გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი პროცედურა; მობილობა და ინტერნაციონალიზაცია; საკმარისი და მდგრადი დაფინანსება; კვლევის ეთიკა, ციფრული გამოწვევები და გლობალური მეცნიერება.

2. სადოქტორო განათლება საქართველოში და ზალცბურგის პრინციპები

2.1. დოქტორანტურა და განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

სადოქტორო განათლებას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 7 დეკემბერს დაამტკიცა N533 დადგენილებით.²⁰

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი არის უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება სადოქტორო განათლების განვითარება. კერძოდ, სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სრულად ინტეგრირება სწავლებისა და სწავლის პროცესში განათლების სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით დოქტორანტურაში. გარდა ამისა, ხაზგასმულია დოქტორანტურის სტუდენტებისა და სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების დაფინანსების გაზრდისა და დივერსიფიცირების, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ინტერნაციონალიზაციის, ერთობლივი სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობის მნიშვნელობა. უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე არსებულ რისკებს შორის კი მოიხსენიება სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად კვალიფიციური აკადემიური პერსონალის სიმცირე.

სტრატეგიას თანდართული სამოქმედო გეგმა, ძირითადად, სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების ინტეგრაციის სტრატეგიულ ამოცანებთან მიმართებაში, ითვალისწინებდა მთელ რიგ აქტივობებს, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოს საქართველოში დოქტორანტურის ხარისხის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის. კერძოდ, 2017-2018 წლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

²⁰ https://www.mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf.

2.6. პროგრამის შემუშავება ა) სტრუქტურირებული სადოქტორო განათლების ხელშეწყობისთვის, ბ) კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად.

2.7. დოქტორანტების მხარდაჭერა რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

4.1. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განხორციელება (მათ შორის საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, მაგალითად, ფოლკსვაგენი-რუსთაველის ფონდის ერთობლივი დაფინანსებით სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები).

4.2. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ერთობლივი კვლევითი სტაჟირების დაფინანსება (DAAD - რუსთაველის ფონდის სტიპენდიები დოქტორანტურის სტუდენტებისა და პოსტდოქტორანტებისთვის).

4.3. დოქტორანტურის სტუდენტების დაფინანსება (კვლევითი გრანტები დოქტორანტურის სტუდენტებისთვის).

4.7. სადოქტორო სკოლების დაფინანსების სქემების მომზადება და წარმოდგენა კვლევითი უნივერსიტეტების ან უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების/ცენტრების კონსორციუმისთვის.


საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ და 2018-2019 წლებში დაგეგმილ ღონისძიებათაგან დღემდე განხორციელდა მხოლოდ რამდენიმე: დოქტორანტურის სტუდენტების დაფინანსება (რასაც 2014 წელს ჩაეყარა საფუძველი) და ერთობლივი სტრუქტურირებული პროგრამებისა და დოქტორანტების დაფინანსება ფოლკსვაგენისა და DAAD-ის ფონდებთან თანამშრომლობით, რაც მოხდა საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში.

დოქტორანტურის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე და მის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ერთიან სამთავრობო სტრატეგიაში სადოქტორო განათლება უფრო კომპლექსურად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებებს რომ გამოეყოთ შესაბამისი ფინანსური რესურსი, თანმიმდევრულად განხორციელებინათ დაგეგმილი აქტივობები და, შესაბამისად, ქმედითი ნაბიჯები გადაედგათ თავიანთი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, ცალსახად გაუმჯობესდებოდა საგანმანათლებლო გარემო და შეიქმნებოდა კარგი წინაპირობები სადოქტორო განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საქართველოში სადოქტორო განათლების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სწორი პოლიტიკის ფორმირება, პრიორიტეტების განსაზღვრა და სტრატეგიული დაგეგმარება, არამედ რეფორმების უზრუნველყოფა სათანადო და მდგრადი დაფინანსებით და შესაბამისი პოლიტიკის სისტემური და თანმიმდევრული იმპლემენტაცია.

2.2. სადოქტორო განათლების ხელმისაწვდომობა


დღეისათვის საქართველოში სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება აქვს 31 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (მათგან ერთი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2020-2021 სასწავლო წელს გეგმავს სტუდენტების პირველი ნაკადის მიღებას),²¹ ხოლო სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის²² მონაცემებით, 2020 წლის 5 მაისის მდგომარეობით, დოქტორანტურაში სწავლობს **8 626** სტუდენტი, რომელთაგან **5 109**-ს, ანუ დოქტორანტების საერთო რაოდენობის **59 %**-ს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი (იხ. ცხრილები ქვემოთ).




დოქტორანტურის სტუდენტებიდან **4 641**, ანუ დოქტორანტების საერთო რაოდენობის **54%** ქალია. სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს **2 699** ქალ სტუდენტს, ანუ ქალი დოქტორანტების **58%**-ს და **2 410** მამაკაც დოქტორანტს, ანუ მამაკაცი დოქტორანტების **60%**-ს (იხ. ცხრილი ქვემოთ).

²¹ <https://eqe.ge/geo/static/89>.

²² <https://emis.ge/>.



დოქტორანტების ასაკობრივი განაწილება საკმაოდ მრავალფეროვანია (საშუალოდ 23-დან 69 წლამდე), რაც ცხადყოფს სადოქტორო განათლების ხელმისაწვდომობას ასაკობრივი თვალსაზრისით მაინც.



ასაკობრივი ჯგუფი	აქტიური	შეჩერებული	სულ
20-29	1228	893	2121
30-39	1269	2534	3803
40-49	621	1110	1731
50-59	304	435	739
60-69	81	113	194
სულ	3503	5085	8588

სადოქტორო პროგრამების დასრულების დაბალი მაჩვენებელი და სტატუსშეჩერებული დოქტორანტების დიდი რაოდენობა - როგორც დოქტორანტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - ჯერ კიდევ 2012 წელს, Erasmus+ ეგიდით განხორციელებულმა კვლევამ წარმოაჩინა (ნ. ჯავახიშვილი, 2012, გვ. 10-11). წარმოვადგენ მოკლე ამონარიდს აღნიშნული კვლევიდან: „სტუდენტების 56,2%, თსუ-ს 52%-ს, ქართული უნივერსიტეტის 23,3%-ს და ისუ-ს 17.3%-ს სტატუსი აქვთ შეჩერებული. რაც ნიშნავს, რომ ეს სტუდენტები სწავლის გაგრძელებას აპირებენ, თუმცა, ამ ეტაპზე, პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ. ეს პრობლემა ორივე მხრიდან არის გამოწვეული: ერთი მხრივ, უნივერსიტეტები სათანადოდ ვერ ეხმარებიან სტუდენტებს, რომ სადისერტაციო თემაზე იმუშაონ, ხანდახან დროშიც კი ზღუდავენ მათ. მეორე მხრივ, სტუდენტები სადოქტორო შრომას სერიოზულად არ აღიქვამენ და ვერ ხვდებიან, რომ მის დაწერას დიდი დრო და ენერგია სჭირდება, ეს კი მათ არ აქვთ, რადგან დროის უმეტეს ნაწილს სამსახურს უთმობენ. უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები არ არიან მზად სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებისათვის არც ცოდნით და არც ემოციურად. შესაბამისად, ეს პრობლემა დგას ორივე მხრისათვის, სტუდენტებმა არ უნდა დაისახონ არარეალისტური მიზნები, მაგრამ არც უნივერსიტეტებმა უნდა მიიღონ ამგვარი სტუდენტები“.

დღეისათვის არ არსებობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული უახლესი კვლევა, თუ რა ფაქტორების გამო იჩერებს სტუდენტის სტატუსს დოქტორანტების უმრავლესობა, თუმცა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების არსებული პოლიტიკისა და საზოგადოების ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, 2012 წელს ჩატარებული კვლევისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის შედეგად²³ შეიძლება ითქვას, რომ დოქტორანტურაში სრულფასოვნად სწავლისა და კვლევის განხორციელებას აფერხებს და დოქტორანტებს სტატუსის შეჩერებისკენ უბიძგებს შემდეგი ფაქტორები:

ა) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების მექანიზმის არარსებობა; ბ) დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი გრანტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების მცირე მოცულობა; გ) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ამცირებს დოქტორანტების თვითდაფინანსების შესაძლებლობებს; დ) სწავლის გადასახადის დაფარვის მიზნით სტუდენტთა დასაქმების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რის გამოც სტუდენტებს და განსაკუთრებით დოქტორანტებს აღარ რჩებათ დრო სწავლისა და კვლევისთვის; ე) დასაქმებული დოქტორანტების დიდი რაოდენობა; ვ) საქართველოს უნივერსიტეტების შეზღუდული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი; ზ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დოქტორანტების პროფესიული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი სერვისების სიმწირე (მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელების არასაკმარისი ჩართულობა) და კვლევითი გარემოს შეზღუდულობა და სხვ.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დოქტორანტურის წინაშე არსებული ერთ-ერთი პრობლემა - გაიზარდოს სწავლის დასრულების მაჩვენებელი (graduation rate) და დოქტორანტებს მიეცეთ სწავლის გონივრულ ვადაში დასრულების შესაძლებლობა, *მნიშვნელოვანია მიზანმიმართული და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება, მისი უზრუნველყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსით და მისი თანმიმდევრული განხორციელება.*

²³ Irine Darchia, Lika Glonti, Irma Grdzeldze, Tamar Sanikidze, Ketii Tsofniasvili, 2019.

2.3. სადოქტორო განათლების განმარტება

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ გვთავაზობს სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტებას. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში (მუხლი 2, ს). დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურია (მუხლი 2, ტ), ხოლო დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება (მუხლი 2, უ). დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (მუხლი 2, ტ¹).

სადოქტორო პროგრამის აღნიშნული განმარტება მთლიანობაში ასახავს დოქტორანტურის ძირითად, ზოგად მახასიათებლებს (სწავლების მესამე საფეხური და მისი ადგილი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა), თუმცა აღნიშნულ დეფინიციასში არ ჩანს დოქტორანტურის თავისებურებები და განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ სწავლების მესამე საფეხურზე სასწავლო და კვლევითი კომპონენტი არ უნდა მოვიპოვოთ როგორც თანაბარი მნიშვნელობის ინსტრუმენტები. დოქტორანტურა უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს კვლევა, რომელიც სასწავლო კომპონენტს, ტრანსფერული უნარების განმავითარებელ აქტივობებს იყენებს არა ძირითად, არამედ დამხმარე, მხარდამჭერ ინსტრუმენტად.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რამდენად საჭიროა, რომ სადოქტორო განათლების სპეციფიკური მახასიათებლები ასახული იყოს საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ. ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობს სადოქტორო განათლების კონცეპტუალური, შინაარსობრივი და სტრუქტურული ასპექტების განმსაზღვრელი სხვა დოკუმენტი, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ისევე როგორც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესში ხელმძღვანელობენ სწორედ კანონის დეფინიციით, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს და ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. შედეგად ვიღებთ დოქტორანტურას, რომელიც სტრუქტურული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით (მაგალითად, სასწავლო კურსების შინაარსი, გამოყენებული ლიტერატურა, სწავლებისა და სწავლის, შეფასების მეთოდები და სხვ.) პრინციპულად არ განსხვავდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებისგან, სათანადო ყურადღებას არ უთმობს ახალი ცოდნის შექმნას, „სამეცნიერო კვლევით სწავლებას“ და, ამდენად, ვერ აღწევს ზალცბურგის პრინციპებით განსაზღვრულ სადოქტორო განათლების მიზნებს.

ზალცბურგის პრინციპებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, დოქტორანტურა შესაძლებელია განიმარტოს შემდეგნაირად: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს და რომელიც სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და მისი მხარდამჭერი სასწავლო კომპონენტის საშუალებით მიზნად ისახავს

ორიგინალური კვლევის გზით ახალი ცოდნის შექმნას, დოქტორანტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია დოქტორანტურის განმარტების დაზუსტება საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ და/ან უნივერსიტეტებისთვის სპეციალური სახელმძღვანელოს/რეკომენდაციების შემუშავება ზალცბურგის პრინციპების იმპლემენტაციის, სადოქტორო განათლების მოდერნიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

2.4. სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფა - აკრედიტაცია

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია სავალდებულოა (ისევე როგორც რეგულირებადი სპეციალობების), რაც მიუთითებს სწავლების მესამე საფეხურზე განათლების ხარისხის მნიშვნელობას და პრიორიტეტულობას, იმ გამოწვევების მიუხედავად, რაც ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში გვხვდება და რომელთაც მოგვიანებით შევხვები.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი 2011 წელს დაიწყო. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 294 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან 279 პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, ხოლო 15 საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე. 2018-2019 წლებში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 91 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი. 78 პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, ხოლო 13 პროგრამას ეთქვა უარი აკრედიტაციის მინიჭებაზე.

როგორც ვხედავთ, 2011-2017 წლებში მოქმედი სტანდარტებით აკრედიტაცია მიენიჭა სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამების 95 %-ს, ხოლო 2018-2019 წლებში - აკრედიტაციის სტანდარტების განახლების შემდეგ - წარდგენილი პროგრამების 85 %-ს. აღსანიშნავია, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამების აკრედიტაციის კვლავაც მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ქვეყანაში აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა შემცირდა ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დანერგვის შემდეგ. უნივერსიტეტების გარკვეულმა ნაწილმა - ავტორიზაციის სტანდარტების საკმაოდ მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით - თავად მიიღო გარკვეული მიმართულებებით სადოქტორო პროგრამების გაუქმების გადაწყვეტილება. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, EMIS-ის მონაცემებით, 2017 წელს ფუნქციონირებდა 260 სადოქტორო პროგრამა, ხოლო 2019 წელს კი მათი რაოდენობა შემცირდა 195-მდე.

როგორც ვხედავთ, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა 2018-2019 წლები, როდესაც ამოქმედდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები და რომელთა წყალობითაც აკრედიტებული სადოქტორო პროგრამების რაოდენობა გარკვეულწილად შემცირდა. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება კითხვები მოქმედი, აკრედიტებული პროგრამების ხარისხთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ დოქტორანტურა არის „სწავლება კვლევით, ახალი ცოდნის შექმნა ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომით“, ხოლო საქართველოს მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტი არის კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე თავისი

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობითა და ხარისხით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი გრანტებიც მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტში ხორციელდება. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა რევიზიასა და განახლებას საჭიროებს.

ზალცბურგის პრინციპებისა და რეკომენდაციების თანახმად, „სადოქტორო განათლება უნდა ვითარდებოდეს საკუთარი გზით და არ უნდა იყენებდეს იმავე ინსტრუმენტებს, რომლებიც სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე გამოიყენება“. შესაბამისად, სადოქტორო განათლების ხარისხის შეფასების პროცესში ვერ იქნება გამოყენებული შეფასების მხოლოდ ის კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებითაც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები ფასდება (ისიც შესაძლებელია, რომ სწავლების პირველი და მეორე საფეხურის შეფასების კრიტერიუმები საერთოდ არ იყოს რელევანტური მესამე საფეხურისთვის).

იმისათვის, რომ გავიაზროთ კონკრეტულად როგორ, რით უნდა განსხვავდებოდეს დოქტორანტურის ხარისხის გარე შეფასება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისგან, უპირველეს ყოვლისა უნდა განვსაზღვროთ სადოქტორო განათლების თავისებურებები და აკრედიტაციის პროცესში სწორედ მათ შეფასებაზე უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება.

ზალცბურგის პრინციპების თანახმად, დოქტორანტურის თავისებურებას განაპირობებს და მისი ხარისხისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები და ასპექტები: 1. ორიგინალური კვლევითი პროექტი; 2. სასწავლო კომპონენტი, არა როგორც წარმართველი, არამედ როგორც დამხმარე ინსტრუმენტი; 3. დოქტორანტების მიღების ღია და გამჭვირვალე პროცედურა; 4. დოქტორანტების გონივრული რაოდენობა; 5. სამეცნიერო ხელმძღვანელობა; 6. კვლევითი გარემო; 7. დოქტორანტის მხარდამჭერი სერვისები; 8. კავშირი შრომის ბაზართან; 9. ინტერნაციონალიზაცია; 10. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა.

მოკლედ მიმოვიხილავ სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებულ ამ საკითხებს და მათი შეფასების შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტების გამოყენებით.

1. ორიგინალური კვლევითი პროექტი, როგორც ახალი ცოდნის შექმნის საშუალება.

ჩნდება კითხვა, როგორ არის წარმოდგენილი სადოქტორო განათლების მთავარი, საკვანძო კომპონენტი - „ცოდნის განვითარება ორიგინალური კვლევის საშუალებით“ საქართველოს უნივერსიტეტების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში? ფორმალურად ყველა სადოქტორო პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტს, თუმცა ჩნდება კითხვა, რამდენად „ორიგინალურია“²⁴ ის კვლევა, რომელიც პროგრამის ფარგლებში ტარდება და რამდენად ხდება უნივერსიტეტში განსახორციელებელი კვლევითი კომპონენტის - როგორც სამეცნიერო-კვლევითი გარემოსა და პოტენციალის, ისე მისი შედეგების - შეფასება სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, მაშინ როცა სადოქტორო პროგრამების გარე შეფასება ხდება აკრედიტაციის იმავე სტანდარტებით, რომლებითაც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის

²⁴ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომისთვის წაყენებულ ერთ-ერთ ძირითად, პრინციპულ მოთხოვნად ითვლება მისი originality - თვითმყოფადობა, ორიგინალურობა, სიახლე ანუ სადისერტაციო კვლევა უნდა იყოს original - ორიგინალური, დამოუკიდებელი.

პროგრამების, ანუ დოქტორანტურის საფეხურის მიზანდასახულობისა და სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე.

აკრედიტაციის სტანდარტის რამდენიმე ქვესტანდარტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებას სასწავლო კომპონენტთან თანმიმდევრული და ლოგიკური მიმართებებისა (2.2) და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის (2.4) თვალსაზრისით, რაც არ არის საკმარისი დოქტორანტურის ხარისხის შესაფასებლად. აქედან გამომდინარე, *რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტი ითვალისწინებდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - კვლევითი თემატიკისა და მეთოდოლოგიის, სადისერტაციო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასებას როგორც მეცნიერების საერთაშორისოდ აღიარებული, გაზომვადი კრიტერიუმების, ისე კოლეგიალური შეფასების (peer review) საშუალებით, სხვადასხვა დარგის სპეციფიკისა და საქართველოში მისი განვითარების მდგომარეობის გათვალისწინებით.*

2. სწავლება - სასწავლო კომპონენტი, არა როგორც წარმმართველი, არამედ როგორც დამხმარე ინსტრუმენტი ხარისხიანი კვლევის საწარმოებლად, ტრანსფერული უნარების განსაკვითარებლად და დოქტორანტის კარიერული წინსვლისათვის;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, ევროპული უნივერსიტეტები არ სთავაზობენ დოქტორანტებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ფორმატის მსგავს, „კლასიკურ სასწავლო კურსებს“, შესაბამისი საკონტაქტო საათებით, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიით. არ არის შემთხვევითი, რომ დოქტორანტურასთან დაკავშირებულ სარეკომენდაციო დოკუმენტებში ხშირად გამოიყენება ტერმინი „training“ (ტრენინგი) და არა „course“ (სასწავლო კურსი) და სწავლების პროცესშიც აქცენტი კეთდება ტრენინგებსა და ვორკშოპებზე, სემინარულ, ინტერაქტიურ კომუნიკაციაზე, ლექტორების ძალიან შეზღუდული საკონტაქტო საათებით.

დოქტორანტურის საფეხურზე სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იქნას სტუდენტების ასაკობრივი მრავალფეროვნება²⁵ და ინტელექტუალური მზაობა სწავლების პირველ და მეორე საფეხურთან შედარებით, მათი დასაქმებულობა და, შესაბამისად, შეზღუდული დრო. კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში „გადაუდებელმა დაშორებულმა სწავლებამ“ (emergency remote teaching) ცხადყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი უზრუნველყოფილია შესაბამისი ხარისხის ინტერნეტითა და კომპიუტერული აღჭურვილობით და თუ ლექტორი ეფექტიანად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ შესაძლებლობებს, ელექტრონული სწავლება შეიძლება იყოს შედეგიანი და იმავდროულად დაუზოგოს დრო როგორც ლექტორს, ისე დასაქმებულ სტუდენტს. დოქტორანტურის საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით კი განსაკუთრებით სასარგებლო, მომგებიანი და ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს ასინქრონული სწავლების ელემენტების დანერგვა (როდესაც სტუდენტი მისთვის მისაღებ დროს ეცნობა სასწავლო მასალებს, შესაბამის აუდიო და ვიდეო მასალას, აქვს ლექტორთან მისთვის მოსახერხებელ დროს ვირტუალური კომუნიკაციის შესაძლებლობა და სხვ.).

²⁵ 2020 წლის 5 მაისის მონაცემებით, დოქტორანტურის სტუდენტების 9 %-ს ასაკი 50-დან 59 წლამდე მერყეობს, ხოლო 2 % კი 60 წელს გადაშორებულია.

ამდენად, დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის ფორმირებისას რეკომენდებულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისგან განსხვავებული, სწავლების უფრო მოქნილი ფორმატი, ელექტრონული და შერეული სწავლების ინტენსიური და ეფექტიანი გამოყენება, ზრდასრულთა განათლების სპეციფიკური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა. აქედან გამომდინარე, აკრედიტაციის სტანდარტებში დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც უნდა მოდიფიცირდეს და ითვალისწინებდეს სწავლების მესამე საფეხურის შესაბამის ფორმატს.

3. დოქტორანტების მიღების ღია და გამჭვირვალე პროცედურა, წინასწარ განსაზღვრული და საჯაროდ ცნობილი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რაც იძლევა ობიექტური და სამართლიანი შერჩევის შესაძლებლობას დოქტორანტობის კანდიდატის პოტენციალის გათვალისწინებით და გამორიცხავს დისკრიმინაციას ასაკობრივი, გენდერული, სოციალური და სხვა ნიშნით.

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, დოქტორანტურაში მიღება მკაცრად დეცენტრალიზებულია. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისგან განსხვავებით, სადაც სტუდენტების შერჩევისა და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების პროცესში განმსაზღვრელია გარე მექანიზმი - სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდები, დოქტორანტების მიღება ხდება თავად უნივერსიტეტების მიერ. ერთი მხრივ, მისასაღმებელია ავტონომიურობის ის მაღალი ხარისხი, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ დოქტორანტების მიღების პროცესში, ისევე როგორც სადოქტორო პროგრამების განხორციელების, შესაბამისი სამეცნიერო კვლევის წარმოების, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის დროს,²⁶ თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებლობის პარალელურად არსებობდეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშვალდებულების სისტემა, როგორც პროცესების გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის წინაპირობა.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტის (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) ერთ-ერთი კომპონენტი - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - აფასებს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობებისა და პროცედურების არსებობას (იხ. დანართი 3), რაც ეფექტიანად შეიძლება გამოყენებულ იქნას დოქტორანტურის გარე შეფასების პროცესში.

4. დოქტორანტების გონივრული რაოდენობა, დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი და ფინანსური შესაძლებლობების, პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობის გათვალისწინებით.

არაერთგზის აღინიშნა, რომ ხარისხიანი კვლევისა და სწავლების უზრუნველყოფას სჭირდება შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, თუმცა დოქტორანტურის შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დოქტორანტების უზრუნველყოფას სამეცნიერო ხელმძღვანელობით. ანუ სადოქტორო განათლების შეფასებისას არსებითია რაოდენობა იმ სამეცნიერო ხელმძღვანელებისა, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და აგრეთვე

²⁶ არ არსებობს არც ერთი საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს რომელიმე გარე ინსტიტუციის ჩართულობას სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში.

შესაძლებლობა - პედაგოგიური და სამეცნიერო დატვირთვიდან გამომდინარე - სათანადო დრო დაუთმონ სტუდენტს და ხელი შეუწყონ მის პროფესიულ განვითარებას სისტემატური კომუნიკაციით, რჩევებით, რეკომენდაციებით, კვლევითი პროცესის მონიტორინგით და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტის (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) ერთ-ერთი კომპონენტის - ადამიანური რესურსის ერთ-ერთ კრიტერიუმის თანახმად, დოქტორანტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას. აღნიშნული კომპონენტის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორიც სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობაა, (იხ. დანართი 3), რაც ეფექტიანად შეიძლება იქნას გამოყენებული სადოქტორო პროგრამების გარე შეფასების პროცესში.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელობა, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მისი მხარდამჭერი სასწავლო კომპონენტის ეფექტიანად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად წარმართვისა და სადისერტაციო ნაშრომის გონივრულ ვადაში დასრულების წინაპირობა.

ევროპის წამყვან უნივერსიტეტებსა და სადოქტორო სკოლებში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დოქტორანტების უზრუნველყოფას არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე ხელმძღვანელით. ამგვარად, სადისერტაციო ნაშრომი განიხილება უფრო კომპლექსურად და მრავალსაპექტურად. სტუდენტი იღებს მეტ რჩევას, რეკომენდაციასა და შენიშვნას კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ თუ კონცეპტუალურ საკითხებზე, რაც ხელს უწყობს მის პროფესიულ განვითარებას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას აკადემიურ სივრცეში.

ვინაიდან სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული გამოწვევები სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში, ბოლო პერიოდში საგანგებო ყურადღება ეთმობა სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელი კვლევითი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების წერილობით განსაზღვრას შესაბამისი ხელშეკრულებისა თუ სხვა ტიპის სამართლებრივი დოკუმენტის ფარგლებში. გარდა ამისა, თანდათანობით ფართოდ ვრცელდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და პროფესიული განვითარების ღონისძიებები (სპეციალური ტრენინგები, ვორკშოპები, სემინარები და სხვ.).²⁷ აღსანიშნავია, რომ ზალცბურგის პრინციპების თანახმად. „სამეცნიერო ხელმძღვანელების პროფესიული განვითარება ინსტიტუციური პასუხისმგებლობაა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც ფორმალური ტრენინგით, ისე პერსონალს შორის გამოცდილების არაფორმალური გაზიარებით“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს და მისასაღმებელია, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საგანგებო ყურადღებას უთმობს სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ საკითხებს (იხ. დანართი, სადაც ცხრილის სახით არის წარმოდგენილი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ის სტანდარტები და კრიტერიუმები,

²⁷ ცალკეულ შემთხვევებში უნივერსიტეტები შეიმუშავენ ლოკალურ სახელმძღვანელოებს სამეცნიერო ხელმძღვანელთათვის, სადაც თავმოყრილია შესაბამის დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამის განხორციელებასა და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები. მაგალითად, იხ.: ვესტმინსტერის უნივერსიტეტის გამოცდილება: <https://www.westminster.ac.uk/sites/default/public-files/general-documents/Handbook-for-Doctoral-Supervisors-2018-19.pdf>.

რომლებიც მიზნად ისახავს ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებასა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობას), რაც კარგი წინაპირობაა სადოქტორო განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის შესაფასებლად.

როგორც ვხედავთ, განახლებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები საქართველოს უნივერსიტეტებს ავალდებულებს სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, რასაც დასავლურ უნივერსიტეტებში უწოდებენ „სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროფესიონალიზიას“, თუმცა ეს არის პრინციპული სიახლე, რაც მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას.

აქედან გამომდინარე, *რეკომენდებულია, რომ საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სამეცნიერო ხელმძღვანელთა პროფესიული განვითარებისთვის მიმართონ წამყვან დასავლურ უნივერსიტეტებში ფართოდ გავრცელებულ და გამოყენებულ სპეციალიზებულ სახელმძღვანელოებს,²⁸ ორგანიზება გაუწიონ პროფესიული განვითარების ღონისძიებებს (ტრენინგი, ვორკშოპი, სემინარი), ხელი შეუწყონ გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას როგორც ინსტიტუციის შიგნით, ისე სხვადასხვა დაწესებულებებს შორის.*

6. სადოქტორო პროგრამების ფუნქციონირება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ისეთ საუნივერსიტეტო - **კვლევით გარემოში**, სადაც: ა) არსებობს გარედან მოზიდული და/ან შიდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსებული, მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; ბ) სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი/სამეცნიერო ხელმძღვანელები არიან მოქმედი და აქტიური მკვლევარები, რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და/ან ინდივიდუალურად აწარმოებენ კვლევას, რაც დასტურდება სხვადასხვა სახის ეროვნული და საერთაშორისო პუბლიკაციებით.

როგორც ვხედავთ, ზალცბურგის პრინციპების თანახმად, კვლევითი გარემოს შემადგენელი კომპონენტებია: უნივერსიტეტში განხორციელებული დაფინანსებული ჯგუფური და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელების ინდივიდუალური კვლევითი პროექტები, დოქტორანტის ჩართულობა მიმდინარე კვლევებში, სამეცნიერო ხელმძღვანელების სამეცნიერო პროდუქტიულობა და ხარისხი. აქვე უნდა დავამატოთ კვლევების შესაბამისი მატერიალური ბაზა და საბიბლიოთეკო რესურსი (საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა).

აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტის (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) კომპონენტები ითვალისწინებს ადამიანური რესურსის და განსაკუთრებით დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის და მათი პროფესიული განვითარების, საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსების შეფასებას (იხ. დანართი), რაც კარგი, თუმცა არასაკმარისი წინაპირობაა სადოქტორო განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის.

აკრედიტაციის არსებული სტანდარტები არ იძლევა კვლევითი გარემოსა და კვლევითი საქმიანობის არსებითად შეფასების შესაძლებლობას, ანუ რეალურად ვერ ფასდება სადოქტორო განათლების საკვანძო ასპექტი. თეორიულად არსებობს შესაძლებლობა, რომ უნივერსიტეტს არ

²⁸ მაგალითად, იხ.: Helmut Brentel, 2019; UniWind Publications, 2015; Stan Taylor, Margaret Kiley, Robin Humphrey, 2018; SuperProfDoc, 2017.

ჰქონდეს მოპოვებული რომელიმე ეროვნული და/ან საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან არ იყოს გამოყოფილი შიდა დაფინანსება სამეცნიერო საქმიანობისთვის და არც უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ახორციელებდეს კონკურენტუნარიან სამეცნიერო კვლევებს, მაგრამ შესაბამისი მიმართულების სადოქტორო პროგრამამ მაინც მიიღოს აკრედიტაცია. აქედან გამომდინარე, *რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში მოხდეს კვლევითი გარემოსა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არსებითი შეფასება, როგორც გაზომვადი კრიტერიუმების, ისე კოლევიალური შეფასების გამოყენებით, სხვადასხვა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელოვნებო მიმართულებებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჩანაცვლდება შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტებით, ხოლო პრაქტიკაზე ორიენტირებულ, ე. წ. პროფესიულ დარგებში - პრაქტიკული პროექტით.

ვინაიდან საქართველოს უნივერსიტეტების ნაწილი აქტიურად ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკასა და პროფესიულ გამოცდილებაზე და ვინაიდან ეკონომიკის განვითარებას სჭირდება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების უფრო აქტიური კავშირი ბიზნესისა და წარმოების სფეროებთან, სასურველია, გაგრძელდეს უკვე დაწყებული მსჯელობა ე. წ. პროფესიული, პრაქტიკაზე დაფუძნებული დოქტორანტურის შემოღების შესახებ.²⁹

7. დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმები პიროვნული და პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და მობილობისთვის.

ზალცბურგის პრინციპებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტებმა დოქტორანტებს უნდა შესთავაზონ ისეთი მხარდამჭერი სერვისები (ტრენინგები, ვორკშოპები, სემინარები, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და სხვ.), რომლებიც ხელს შეუწყობს:

ა) პროფესიულ განვითარებას (რაც შეიძლება გულისხმობდეს შესაბამის სფეროში კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის დაუფლებას); ბ) ტრანსფერული უნარების განვითარებას (რაც მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის ცვალებადი და არც თუ მრავალფეროვანი შრომის ბაზრის პირობებში); გ) კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების ჩამოყალიბებას; დ) კომუნიკაციას პოტენციურ დამსაქმებლებთან და სხვ.

სასწავლო კომპონენტის შესახებ ზემოთ ნათქვამს აღარ გავიმეორებ და საგანგებოდ შევჩერდები კვლევის ეთიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საკვანძო და აგრეთვე პრობლემურ საკითხზე. 2016 წელს Erasmus+ ეგიდით ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატი არის ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების აქტუალური პრობლემა, როგორც ღირებულებითი თვალსაზრისით (აკადემიური და სამეცნიერო წრეების, სტუდენტების ლოიალური და კონფორმისტული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ), ისე მისი პრევენციის, დადგენისა და რეაგირების მხრივ.³⁰

²⁹ დეტალურად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ.: David Cherkezishvili, Tamar Sanikidze, Paul Gibbs, 2020.

³⁰ დეტალურად იხ.: ლალი ბაქრაძე, თამარ ბრეგვაძე, ქეთევან გურჩიანი, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო ურუშაძე, ლიკა ღლონტი, სიმონ ჯანაშია, 2016.

2017-2018 წლებში ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელებული ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის რეგულირება გახდა უნივერსიტეტების ვალდებულება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ *პლაგიატთან დაკავშირებული ტექნიკური და ადმინისტრაციულ-პროცედურული საკითხების მოგვარება დაიწყო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების დანერგვის პროცესში, თუმცა რამდენად ეფექტიანი იქნება მათი იმპლემენტაცია, ამას მომავალი კვლევები გვიჩვენებს, რაც სასურველია განხორციელდეს არა თავად ინსტიტუციების, არამედ გარე დაინტერესებული მხარეების, განათლების სფეროში მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.*

მისასალმებელია, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები ითვალისწინებს დოქტორანტის მხარდამჭერი იმ აქტივობებისა და მექანიზმების შეფასებას, რომელთაც ზემოთ შევხებით (აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხ. დანართი), თუმცა აკრედიტაციის სტანდარტებით არ ფასდება აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან და პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის. მართალია, აკრედიტაციას გადის მხოლოდ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას დაკმაყოფილებული აქვს ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტი ანუ აქვს პლაგიატის პრევენციის, დადგენისა და რეაგირების მექანიზმები, თუმცა თეორიულად შესაძლებელია, რომ ავტორიზებული ინსტიტუცია ნაწილობრივ ან საერთოდ არ აკმაყოფილებდეს პლაგიატის მარეგულირებელ ქვესტანდარტს/შეფასების კომპონენტს. გარდა ამისა, შესაძლებელია, უნივერსიტეტს ჰქონდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, თუმცა მისი დანერგვა არ ხდებოდეს სააკრედიტაციოდ წარდგენილი კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, *რეკომენდებულია, რომ არა მხოლოდ ავტორიზაციის, არამედ აკრედიტაციის სტანდარტიც ითვალისწინებდეს კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის რეგულირების მექანიზმებისა და მათი იმპლემენტაციის შეფასებას.*

8. კავშირი შრომის ბაზართან, როგორც დოქტორანტურის კურსდამთავრებულების პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზაციის საშუალება, წარმატებით დასაქმების წინაპირობა.

სხვადასხვა დროს ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ განხორციელებულმა კვლევამ წარმოაჩინა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის შემდეგი არსებითი პრობლემები: სუსტი კავშირი შრომის ბაზარსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის; უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა შესაბამისი კვალიფიკაციით დასაქმების დაბალი მაჩვენებელი; ეკონომიკის განვითარების დონიდან გამომდინარე „ღარიბი“ შრომის ბაზარი, რომელსაც ნაკლებად ესაჭიროება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები; ე.წ. „უნარების შეუსაბამობა“ (skills mismatch), რაც იმას ნიშნავს, რომ კურსდამთავრებულს არ აქვს ის უახლესი ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მას რეალურად შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე სჭირდება დასაქმებისთვის.³¹

³¹ დეტალურად იხ.: World Bank, 2013; World Bank, 2016.

აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებულ სტანდარტებში საგანგებო ყურადღება დაეთმო შრომის ბაზრის კვლევას, დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლასა და ანალიზს, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობას. იმისათვის, რომ დადგინდეს რამდენად აკმაყოფილებს საქართველოს უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული სადოქტორო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს როგორც თავად შრომის ბაზრის კომპლექსური კვლევა და მისი საჭიროებების დადგენა, ისე დოქტორანტურის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების მოძიება და მათი სანდო ანალიზი. 2017 წლიდან მოყოლებული, განახლებული ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების საკმაოდ მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინებით, ცალკეულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ინდივიდუალურადაც და ერთმანეთთან თანამშრომლობითაც ცალკეული მიმართულებებით განახორციელეს შრომის ბაზრის კვლევა,³² თუმცა საკითხის სპეციფიკიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, *რეკომენდებულია ჩატარდეს ისეთი კვლევა, რომელიც დაადგენს სწორედ სწავლების მესამე საფეხურის მიმართებებს შრომის ბაზრასა და დასაქმებასთან, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების - როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის - ერთობლივი ძალისხმევით, ადამიანური და ფინანსური რესურსების კონსოლიდაციითა და კოორდინირებული საქმიანობით.*

9. დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია როგორც ხარისხის გაუმჯობესებისა და ინსტიტუციური კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

სადოქტორო განათლების ინტერნაციონალიზაცია შეიძლება მრავალი პარამეტრით განვიხილოთ, თუმცა ზალცბურგის პრინციპებსა და რეკომენდაციებში გამოყოფილია შემდეგი ასპექტები: უცხოელი დოქტორანტები და პერსონალი, საერთაშორისო ღონისძიებები და მოწვეული უცხოელი მკვლევარები), ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები და დოქტორანტების ინდივიდუალური მობილობა (ე.წ. კოტუტელე), რაც შეიძლება გულისხმობდეს ერთობლივად შემუშავებულ და/ან განხორციელებულ, ინტეგრირებულ კურიკულუმს, დისერტაციის შეფასების პროცესში უცხოელი კოლეგების ჩართულობას, ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას და სხვ.

აკრედიტაციის მესამე სტანდარტის კომპონენტის - 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შეფასების კრიტერიუმები ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ ისეთ ასპექტებს, როგორცაა სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში და საერთაშორისო მობილობა, თუმცა - როგორც ზემოთ აღინიშნა - სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შეიძლება გულისხმობდეს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან აქტივობებსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე,

³² მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დაკვეთით 2015 წელს კომპანია ACT-ის მიერ განხორციელებული კვლევა „დოქტორანტურის პოტენციური საქართველოში“ და 2019 წელს ოთხი დაწესებულების - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის საერთაშორისო და კავკასიის უნივერსიტეტების - დაკვეთით, პროექტ GICE Partnership ფარგლებში საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა დაედგინა „რა ტიპის ცოდნაზე, უნარებსა და კომპეტენციებზეა მოთხოვნა დამსაქმებელთა მხრიდან, შესაბამისი მიმართულებით რა გამოწვევებია დასაძლევია სასწავლო პროგრამების განვითარებისათვის და განათლების სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის“ (<http://kvira.ge/442646>).

რეკომენდებულია აკრედიტაციის სტანდარტებს ცალკე გამოეყოს შეფასების კომპონენტი - ინტერნაციონალიზაცია - რომლის შეფასების დროსაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ისეთი საკითხები, როგორცაა დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციები, უცხოელი სპეციალისტის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესში და სხვ.

10. დოქტორანტურის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, კვლევითი გარემოსა და შეფასებისა და განვითარების ინსტრუმენტი.

ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილია და ბუნებრივია, რომ მას გარკვეული ადგილი დაეთმო ზალცბურგის პრინციპებშიც, რომელთა თანახმად, დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების დამოუკიდებელი სისტემა ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, შეფასების ინდიკატორები კი უნდა ჩამოაყალიბონ ცალკეული დარგის სტანდარტებისა და საერთო ინსტიტუციური სტრატეგიის შესაბამისად.

2004 წელს დამტკიცებულმა საქართველოს კანონმა უმაღლესი განათლების შესახებ განსაზღვრა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის როლი და მნიშვნელობა, რაც კიდევ უფრო განმტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის „სხვადასხვა თაობის სტანდარტებით“. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის შეფასება ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემის შემადგენელი ერთ-ერთი საკვანძო საკითხია (იხ. ავტორიზაციის სტანდარტი 2.2. და აკრედიტაციის სტანდარტი 5.1. ხარისხის შიდა შეფასება).

მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი ავალდებულებს უნივერსიტეტებს იზრუნონ ხარისხის შიდა შეფასებაზე, პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა ითანამშრომლოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და გამოიყენოს ხარისხის შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად (აკრედიტაციის სტანდარტი 2.2.), აღნიშნული მოთხოვნები და მათი შეფასების კრიტერიუმები³³ არ არის საკმარისი სადოქტორო პროგრამების ხარისხის შესაფასებლად და განსავითარებლად, ვინაიდან არ ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და გარემოს შეფასებას და, ამდენად, უგულებელყოფს დოქტორანტურის თავისებურებას - სწავლება კვლევის საშუალებით.

შესაბამისად, სადოქტორო პროგრამების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა აერთიანებდეს შესაბამისი პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო კომპონენტის, კვლევითი გარემოს, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმებისა და, რაც მთავარია, პროგრამის

³³ აკრედიტაციის 5.1. სტანდარტის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: „პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად; პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი; შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე; პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

შედეგების შეფასებას შესაბამისი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია დოქტორანტურის აკრედიტაციის სტანდარტები ითვალისწინებდეს პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებას დოქტორანტურის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში უკვე კარგა ხანია არსებობს. 2010 წელს ევროკომისიის დაკვეთით ორგანიზაცია ტექნოლოპოლისმა ჩაატარა კვლევა ევროკავშირის სამეზობლოს ქვეყნებში სადოქტორო განათლების ორგანიზების შესახებ.³⁴ აღნიშნული კვლევის ანგარიშში თსუ რამდენჯერმე არის მოხსენიებული როგორც საქართველოში დოქტორანტურის განვითარების კარგი მაგალითი. კერძოდ, ნათქვამია რომ ძალიან ცოტა უსდ–ს (მხოლოდ თსუ–სა და ილიაუნის) აქვს სადისერტაციო ნაშრომის ხარისხის უზრუნველყოფის მკაცრი პროცედურა და აღნიშნულია, რომ მხოლოდ თსუ–ს აქვს „ინტერნაციონალიზაცია“ დისერტაციის დაცვის წინაპირობად. გარდა ამისა, თსუ წარმოდგენილია როგორც „დოქტორანტურის ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი სისტემის მქონე“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები, გვ. 7–8).³⁵

ზალცბურგის პრინციპებთან მიმართებაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სტანდარტების გარკვეული კომპონენტები იძლევა სადოქტორო პროგრამის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას, თუმცა არის მთელი რიგი საკვანძო საკითხები, რომელთა შეფასებისთვისაც საჭიროა არსებული კომპონენტების, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დაზუსტება, დამატებითი კომპონენტებისა და თვით სტანდარტების გამოყოფა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია აკრედიტაციის სტანდარტების დივერსიფიკაცია - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებისთვის განსხვავებული მიდგომების შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კვლევითი კომპონენტისა და დოქტორანტურის სხვა სპეციფიკური ასპექტების უფრო კომპლექსური შეფასება. და, რა თქმა უნდა, სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები უნდა ითვალისწინებდეს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG - 2015) ერთ-ერთ საკვანძო დებულებას - მიზანთან შესაბამისობას (fitness to purpose) და ბიუროკრატიულ ბარიერებს კი არ უნდა ქმნიდეს, არამედ ხელს უნდა უწყობდეს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

დოქტორანტურის აკრედიტაცია სავალდებულოა ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის 7 ქვეყანაში, 9 ქვეყანაში არსებობს გარკვეული შეზღუდვები/მოთხოვნები სადოქტორო პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად, ხოლო 13 ქვეყანას არ გააჩნია აკრედიტაციის მოთხოვნა.³⁶ შესაბამისად, აკრედიტაციის სტანდარტების დივერსიფიკაციის პროცესში რეკომენდებულია იმ ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება, სადაც დოქტორანტურის აკრედიტაცია სავალდებულოა.

³⁴ Technopolis, 2010.

³⁵ Technopolis, 2010, p. 7-8.

³⁶ სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ იხ.: ENQA Workshop Report 12, 2010; Joanne Byrne, Thomas Jorgensen, Tia Loukkola, 2013.

2.5. ერთობლივი პროგრამები - თანამშრომლობა ეროვნულ, საერთაშორისო და ინტერსექტორულ დონეზე

ხარისხიანი სადოქტორო განათლებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი სტანდარტების სამეცნიერო-კვლევით გარემოსა და დოქტორანტების ფინანსური, ადმინისტრაციული, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ინსტრუმენტებს, რომელთა უზრუნველყოფაც სერიოზულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. სწორედ ამიტომ ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წევრ ქვეყნებსა და უნივერსიტეტებში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობის გაღრმავებას როგორც ინსტიტუციის შიგნით, ისე სხვა დაწესებულებებთან, საერთაშორისო პარტნიორებთან და, რაც მთავარია, კერძო სექტორის, ინდუსტრიის, ბიზნესის წარმომადგენლებთან. სადოქტორო განათლებასთან მიმართებაში ხშირად ამბობენ, რომ მნიშვნელოვანია „კრიტიკული მასის“ მიღწევა, რაც არის არა თვითმიზანი, არამედ ადამიანური და მატერიალური რესურსების გაერთიანებისა და, შესაბამისად, ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობა.

დოქტორანტურის ერთობლივი პროგრამების განხორციელება ეროვნულ, საერთაშორისო და ინტერსექტორულ დონეზე ხელს უწყობს ადამიანური და მატერიალური რესურსების კონსოლიდაციას და აქტუალურია არა მხოლოდ პატარა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საქართველოსთვის, არამედ გაცილებით უფრო მდიდარი ქვეყნებისა და უნივერსიტეტებისთვისაც კი.

აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოსა და დაფინანსების მექანიზმების/სპეციალური პროგრამების შექმნას, რომლებიც: ა) აღმოფხვრის ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბარიერებს; ბ) ფინანსური სტიმულითა და მოტივაციით წახალისებს ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განხორციელებას როგორც სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ისე სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ეროვნულ, საერთაშორისო და ინტერსექტორულ დონეზე; გ) ხელს შეუწყობს სწავლების და კვლევის ინტეგრაციას; დ) ხელს შეუწყობს ცოდნის სამკუთხედის - როგორც ცოდნის ეკონომიკისა და საზოგადოების ერთ-ერთი წინაპირობის - შექმნას.

ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, თუ როგორ, რა მექანიზმებით ხდება თანამშრომლობითი სადოქტორო განათლების მხარდაჭერა ევროპულ უნივერსიტეტებში, როგორც ადგილობრივი, ისე ევროკავშირის მიზნობრივი დაფინანსებით.

2016 წელს ერთობლივი კვლევითი ცენტრის (Joint Research Centre - JRC) ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა „კოლაბორაციული სადოქტორო პარტნიორობის“ (Collaborative Doctoral Partnerships - CDP) პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით ახალი თაობის აღზრდას და გამოირჩევა სამეცნიერო კვლევების მაღალი ხარისხით და საერთაშორისო რეპუტაციით. პროგრამა განკუთვნილია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის კვლევითი პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის ასოცირებული წევრი სახელმწიფოებისთვის. შესაბამისად, საქართველოს უნივერსიტეტებსაც

აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ თანამშრომლობითი დოქტორანტურის საგრანტო კონკურსში.³⁷

ყურადსაღებია ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოს ეგიდით 2009 და 2015 წლებში გამოქვეყნებული კოლაბორაციულ დოქტორანტურასთან დაკავშირებული ორი საერთაშორისო პროექტის მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთგვარ სახელმძღვანელოდ და გზამკვლევად იმ ქვეყნებისა და უნივერსიტეტებისთვის, რომლებიც მომავალში გეგმავენ შესაბამისი ფორმატისა და მიზანდასახულობის ერთობლივი პროგრამების განხორციელებას. კერძოდ, ეს პროექტებია: „კოლაბორაციული სადოქტორო განათლება, DOC-CAREERS პროექტი, უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის პარტნიორობა ცოდნის გაზიარებისთვის“ (2009) და „კოლაბორაციული სადოქტორო განათლება ევროპაში: კვლევითი პარტნიორობა და დასაქმება მკვლევარებისთვის. ანგარიში პროექტისა DOC-CAREERS II“.³⁸

დოქტორანტურის საფეხურზე სხვადასხვა დაწესებულებების, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების თანამშრომლობის სტრატეგიულ მნიშვნელობას ცხადყოფს ამ მიმართულებით გერმანიის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული პოლიტიკა. ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა თავისი ეკონომიკური განვითარებით, ფინანსური შესაძლებლობებითა და ადამიანური პოტენციალით, ქვეყანა, რომელსაც აქვს მთელი მსოფლიოდან საუკეთესო კადრების მოზიდვის შესაძლებლობა და რომლის უნივერსიტეტებიც წამყვან პოზიციებს იკავებენ საერთაშორისო რანჟირების სისტემებში, მიზანმიმართულად, სისტემურად და თანმიმდევრულად, დაფინანსების საგანგებო სქემებით ხელს უწყობს და წახალისებს ერთობლივ სადოქტორო პროგრამებსა და სადოქტორო სკოლებს სხვადასხვა გერმანული და უცხოური უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების თანამშრომლობით.

მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ბერლინის მათემატიკური სკოლა“ - ბერლინის თავისუფალი, ჰუმბოლდტისა და ტექნოლოგიური უნივერსიტეტების ერთობლივი სადოქტორო სკოლა (BMS), რომელიც დაფუძნდა 2006 წელს, სახელმწიფო პროგრამის „excellence initiative“ ფარგლებში და რომელიც მიზნად ისახავს მათემატიკის მიმართულებით ბერლინის უნივერსიტეტებში არსებული პოტენციალის გაერთიანებას და, შესაბამისად, უფრო ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო შედეგების მიღწევას.³⁹ კიდევ უფრო მასშტაბურია თანამშრომლობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ინჟინერიის ბერლინის საერთაშორისო სადოქტორო სკოლაში (BIG-NSE), რომელიც ასევე „excellence initiative“-ით დაფუძნდა 2007 წელს და რომლის ფარგლებშიც ერთობლივ სადოქტორო პროგრამებს ახორციელებენ შემდეგი უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები: ბერლინის თავისუფალი, ჰუმბოლდტის, ტექნოლოგიური და პოტსდამის უნივერსიტეტები, მაქს პლანკის საზოგადოების ფრიც ჰაბერის ინსტიტუტი, მაქს პლანკის კოლოიდური მეცნიერების ინსტიტუტი პოტსდამში. აღნიშნული სადოქტორო სკოლის ბაზაზე ერთობლივი სწავლება და კვლევა ხორციელდება ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და ქიმიური ინჟინერიის მიმართულებით და ამ პროცესებში ჩართული არიან აგრეთვე ჩრდილო-დასავლური უნივერსიტეტი და არგონის ეროვნული ლაბორატორია (აშშ), როვირა ი ვირგილის უნივერსიტეტი და კატალონიის ქიმიური კვლევის ინსტიტუტი (ესპანეთი), ხელოვნური ფოტოსინთეზის შვედური კონსორციუმი (შვედეთი), კატალიზის ლაიბნიცის

³⁷ <https://ec.europa.eu/jrc/en/working-with-us/collaborative-doctoral-partnerships>.

³⁸ Lidia Borrell-Damian, 2009; Lidia Borrell-Damian, Rita Morais, John H. Smith, 2015.

³⁹ https://supporthere.org/sites/default/files/module_c_berlin_mathematical_school_sodoudi_ii.pdf.

ინსტიტუტი როსტოკში და ქიმიური ენერჯის კონვერსიის მაქს პლანკის ინსტიტუტი მიულჰაიმში (გერმანია).⁴⁰

დღეისათვის საქართველოში ავტორიზებული 56 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 31 არის უნივერსიტეტი,⁴¹ რომლებიც - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით - 2019 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ახორციელებენ 195 აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამას. აღსანიშნავია, რომ მათგან მხოლოდ ორში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით (ევროპული ლიტერატურის, სოციალური მეცნიერებებისა და მათემატიკის მიმართულებით). ნიშანდობლივია, რომ მათგან ყველა - გარდა „ევროპული ლიტერატურისა“ - დაფინანსებულია ფოლკსვაგენისა და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (ანუ ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები მოქმედებს დაფინანსების მექანიზმის წყალობით). დღევანდელი მონაცემებით საქართველოში არც ერთი ერთობლივი სადოქტორო პროგრამა არ ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და კერძო სექტორის/ბიზნესის ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: რა განაპირობებს ერთობლივი სადოქტორო პროგრამების ასე მცირე რაოდენობას? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათი რაოდენობის გასაზრდელად? რატომ არ არსებობს ერთობლივი სადოქტორო პროგრამები ეროვნულ და ინტერსექტორულ დონეზე?

ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების შესამუშავებლად და განსახორციელებლად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) საკანონმდებლო ბაზა, რომელიც თავისი მოქნილობით ხელს უწყობს ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, კრედიტებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების აღიარებას, ორმაგი/ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას, დოქტორანტებისა და პერსონალის მობილობას და სხვ.; ბ) საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობები ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებს შორის, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთნდობასა და ურთიერთაღიარებაზე; გ) საქართველოს უნივერსიტეტებში მიმდინარე, საერთაშორისო აღიარების მქონე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; დ) ისეთი ცოდნისა და უნარების მქონე სტუდენტების კრიტიკული რაოდენობა, რომლებიც შეძლებენ კონკურენტულ გარემოში წარმატებულ, ეფექტიან სწავლასა და კვლევას; ე) ფინანსური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს ერთობლივი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული აქტივობების დაფინანსებას (მაგალითად, დოქტორანტის ხანგრძლივი - ერთ ან ორსემესტრიანი მობილობა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის, დისერტაციის უცხოელი შემფასებლების მგზავრობის და ცხოვრების ხარჯები, დოქტორანტის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობაში და სხვ.).

აქვე უნდა ითქვას, რომ კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში, გადაუდებელი დამორებული სწავლების (emergency remote teaching) დროს ქართული და უცხოური უნივერსიტეტების მიერ მიღებული გამოცდილება შეიძლება გარდამტეხი აღმოჩნდეს სწავლების მესამე საფეხურის

⁴⁰ https://supporthere.org/sites/default/files/module_c_big_nse_lonjaret.pdf.

⁴¹ <https://eqe.ge/geo/static/89>.

ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის განვითარებისთვის. სავსებით შესაძლებელია, რომ მომავალში გადაილახოს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული სტიგმა და ონლაინ, ვირტუალური კომუნიკაცია გახდეს ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების აუცილებელი ატრიბუტი (სადოქტორო სემინარები, დისერტაციის წინასწარი თუ საბოლოო დაცვა შეიძლება პანდემიის დასრულების შემდეგაც ონლაინ განხორციელდეს), რაც დაზოგავს დოქტორანტის, უცხოელი თანახელმძღვანელის, უცხოეთიდან მოწვეული გარე შემფასებლებისა და სადისერტაციო კომისიის/კომიტეტის წევრების მგზავრობის ხარჯებს.

რაც შეეხება ერთობლივ ე.წ. ეროვნულ და ინტერსექტორულ სადოქტორო პროგრამებს, მათ განსახორციელებლად მნიშვნელოვანია: ა) საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების მოგვარებას (როგორცაა სტუდენტების ჩარიცხვა ერთ-ერთ პარტნიორ უნივერსიტეტში, ადამიანური და მატერიალური რესურსებით ერთობლივი სარგებლობა, კრედიტების აღიარება და სხვ.); ბ) კომუნიკაციის გაუმჯობესება საქართველოს უნივერსიტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებსა და კერძო სექტორს/ინდუსტრიას/ბიზნესს შორის; გ) დაინტერესებული მხარეების მოტივირება და ინტერსექტორული ერთობლივი პროგრამების განხორციელების სტიმულირება მათი დაფინანსების სპეციალური სქემის/პროგრამის ამოქმედებით.

როდესაც ვმსჯელობთ ბიზნესისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებთან უნივერსიტეტების კოლაბორაციის შესახებ, სავსებით ლოგიკურად ისმის კითხვა, რამდენად რეალისტური და განხორციელებადია ამ ტიპის თანამშრომლობა ისეთი შეზღუდული ეკონომიკური განვითარების ქვეყანაში, როგორც საქართველო? ბუნებრივია, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს საკმაოდ შეზღუდული პოტენციალი ინტერსექტორული სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საქმიანობის დაწყება, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, ქვეყნის საჭიროებათა და შესაძლებლობების იდენტიფიკაცია, დაფინანსების მექანიზმის შექმნა და თუნდაც საპილოტე პროგრამის განხორციელება, რაც სტიმულს მისცემს „ცოდნის სამკუთხედის“ იდეის გავრცელებასა და რეალიზაციას.

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ არსებობს გარკვეული ობიექტური ფაქტორები, პრობლემები და ბარიერები, რომლებიც აფერხებს ერთობლივი საერთაშორისო, ეროვნული და ინტერსექტორული სადოქტორო პროგრამების განხორციელებას და რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელია უმაღლესი განათლების და მეცნიერების მიზანმიმართული, თანმიმდევრული და ფინანსურად სათანადოდ უზრუნველყოფილი გრძელვადიანი პოლიტიკის წყალობით. საგანგებოდ შევჩერდები მხოლოდ ორ ასპექტზე - სამართლებრივ ჩარჩოსა და დაფინანსების მექანიზმზე - რომელთა დარეგულირება შესაძლებელია მოკლევადიან პერსპექტივაში, გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სპეციალური პროგრამის სწრაფად ამოქმედებით.

მოკლედ მიმოვიხილავთ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რეგულირების სამართლებრივ ასპექტებს. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განმარტავს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა ერთობლივი აკადემიური ხარისხი - როგორც ქართული და უცხოური უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაცია (ვ¹), დიპლომი და დიპლომის დანართი - როგორც სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი დანართი (ო), სტუდენტი - როგორც ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხული პირი (ჰ¹⁴) და სხვ. გარდა ამისა,

აქვე განმარტებულია ერთობლივ პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვისა და სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებისა და აკრედიტაციის საკითხებიც (მუხლი 49¹, 8, 9; მუხლი 49¹, 5; მუხლი 63, 1³)

კანონის თანახმად, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განხორციელების უფლება აქვთ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, აგრეთვე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას/საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე (3⁴⁸).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მნიშვნელობა განმარტებულია თავად კანონში უმაღლესი განათლების შესახებ: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები საკუთარი რესურსების კონსოლიდაციისა და ოპტიმალური განაწილების, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელების, რეგიონალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიძლება ერთობლივად განახორციელოს საქართველოს რამდენიმე უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ“ (მუხლი 49¹, 1).

აღნიშნული ჩანაწერები ქმნის კარგ წინაპირობებს ერთობლივი საერთაშორისო და ეროვნული პროგრამების განსახორციელებლად, თუმცა სასურველია, რომ დამატებით განისაზღვროს ე.წ. ორმაგი (double degree) და მრავლობითი (multiple degree) აკადემიური ხარისხებიც, ხოლო ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტებს დაემატოს კერძო სექტორის, ბიზნესისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებიც. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს ამგვარი კოლაბორაციის შესაძლებლობას, შესაბამისი საკანონმდებლო ჩანაწერები შეიძლება გახდეს დამატებითი სტიმულის მიმცემი უნივერსიტეტებისთვის თანამშრომლობის არეალის გასაფართოებლად.

სასურველია მომზადდეს კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დაარეგულირებს დიპლომის შინაარსობრივ და სამართლებრივ ასპექტებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭების შემთხვევაში (ანუ დააზუსტებს პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებისა და უფლებამოსილი პირების ლოგოს, ხელმოწერისა და ბეჭდის საკითხებს. საგანგებო მსჯელობა იქნება საჭირო საქართველოს გერბთან დაკავშირებითაც, რადგან უცხოური უნივერსიტეტების შემთხვევაში დიპლომზე სახელმწიფო ატრიბუტიკა არ მიეთითება, რამაც შეიძლება ერთობლივი დიპლომის გაცემის შემთხვევაში დამატებითი უხერხულობა გამოიწვიოს და სხვ.).

გარდა ამისა, რამდენიმე ქართული უნივერსიტეტის მიერ, Erasmus+ პროექტის ფარგლებში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილმა ტექნიკურმა და სამართლებრივმა პრობლემებმა და ბარიერებმა აჩვენა, რომ კანონქვემდებარე აქტებით დაზუსტებას საჭიროებს სტუდენტების ჩარიცხვის, დაფინანსებისა და სხვა ორგანიზაციული ასპექტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებიც დააზუსტებს ერთობლივი საერთაშორისო, ეროვნული და ინტერსექტორული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს.

როგორც ჩვენი გამოცდილება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, საკანონმდებლო ჩარჩო არ არის საკმარისი წინაპირობა ერთობლივი პროგრამების განსახორციელებლად და აუცილებელია დაფინანსების შესაბამისი მექანიზმებისა და წყაროების არსებობა. შეიძლება დავიმოწმოთ 2014 წელს Erasmus+ ეგიდით განხორციელებული კვლევა, რომლის თანახმად, „სადოქტორო საფეხურის აკადემიურ პერსონალი და სტუდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიზნით შეიძლება შემუშავდეს მოდელი, რომელიც გრანტების მეშვეობით წახალისებს ქსელურობას“ (ქ. გურჩიანი, თ. ბრეგვაძე, ს. ჯანაშია, 2014, გვ. 32). შესაბამისად, *რეკომენდებულია ერთობლივი საერთაშორისო, ეროვნული და ინტერსექტორული დოქტორანტურის დაფინანსებისთვის სპეციალური პროგრამების შექმნა, რასაც ადმინისტრირება შეიძლება გაუწიოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა, მისი მისიიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე.*

2.6. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები და სადოქტორო სკოლები

თანამედროვე ევროპული დოქტორანტურის ერთ-ერთი საკვანძო ცნება არის „სტრუქტურა“. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამებისა და სადოქტორო სკოლების განვითარება მზარდი ტენდენცია, ბევრი ევროპული ქვეყნისა და უნივერსიტეტის პრიორიტეტია.

რას ნიშნავს სადოქტორო განათლების სტრუქტურირება? რისი სტრუქტურირება უნდა მოხდეს და რატომ? რატომ ითვლება სადოქტორო სკოლა სადოქტორო განათლების მართვის ყველაზე ეფექტიან მოდელად?

2006-2007 სასწავლო წლიდან, როდესაც საქართველოში დავიწყეთ სადოქტორო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სტრუქტურის ძირითად ერთეულად მიჩნეულ იქნა კრედიტი და სადოქტორო განათლების სტრუქტურირება დავიდა არა მხოლოდ სასწავლო კურსების, არამედ კვლევითი საქმიანობისთვის კრედიტების მინიჭებამდე. მოხდა კრედიტების მნიშვნელობის აბსოლუტიზაცია, იმ პასუხგაუცემელი კითხვების მიუხედავად, რომლებიც ჩნდებოდა კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო დამოუკიდებელი მუშაობის საათების დათვლასთან/დროის გაზომვასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით, თუმცა არა მხოლოდ ექსპერიმენტულ დარგებში). შესაბამისად, არ გავითვალისწინეთ ზალცბურგის ერთ-ერთი პრინციპი და რეკომენდაცია: „კრედიტების სისტემის გამოყენება, რომელიც შეიქმნა სწავლების პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის არ არის აუცილებელი წინაპირობა წარმატებული სადოქტორო პროგრამების შესაქმნელად... კრედიტებს არავითარი აზრი არ აქვს კვლევითი კომპონენტის ან მასთან დაკავშირებული შედეგების გასაზომად. არასწორად გამოყენებული ხისტი კრედიტები შეიძლება საზიანო გახდეს დამოუკიდებელი მკვლევარებისთვის. მაღალი ხარისხის სადოქტორო განათლებას სჭირდება მასტიმულირებელი კვლევითი გარემო, რომელსაც ენთუზიაზმი, ცნობისმოყვარეობა და შემოქმედებითობა წარმართავს და არა კრედიტების შეგროვების მოტივაცია“. შესაბამისად, მისასალმებელია 2018 წელს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად, კრედიტების მინიჭება ხდება არა მთლიანად მთელი სადოქტორო პროგრამისთვის, არამედ მხოლოდ მისი სასწავლო კომპონენტისთვის.

რაც შეეხება სტრუქტურირებულ სადოქტორო პროგრამებს, ზალცბურგის რეკომენდაციების თანახმად, „სადოქტორო განათლების სტრუქტურირება დამხმარე გარემოს შექმნაა. სტრუქტურების ფორმირება ნიშნავს ინსტიტუციური პასუხისმგებლობის აღებას, რომ - ზალცბურგის მეორე პრინციპის თანახმად - მოხდეს სწავლება სამეცნიერო-კვლევების საშუალებით... სადოქტორო განათლების სტრუქტურირება მიზნად უნდა ისახავდეს მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს - როგორც სადოქტორო განათლების საფუძვლის - უზრუნველყოფას. ეს გულისხმობს კრიტიკულ მასას, დოქტორანტურაში მიღების გამჭვირვალე პროცედურას და მაღალი ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობას... სადოქტორო განათლების სტრუქტურირება ნიშნავს მოქნილი სტრუქტურების შექმნას, რათა ახალგაზრდა მკვლევარებს მიეცეთ მრავალფეროვანი შესაძლებლობები პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის, ინსტიტუციური მხარდაჭერა კარიერული წინსვლისა და მობილობისთვის“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია: დოქტორანტურაში მიღების გამჭვირვალე პროცედურა, კვლევითი გარემო ინდივიდუალური სამეცნიერო საქმიანობისთვის, კვალიფიციური და თანმიმდევრული სამეცნიერო ხელმძღვანელობა, სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განსავითარებლად, პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, საერთაშორისო გამოცდილების სხვადასხვა ფორმით მიღების შესაძლებლობა, დოქტორანტის წინსვლის/პროგრესის მონიტორინგი სადისერტაციო ნაშრომის დროულად შესრულებისა და სწავლის გონივრულ ვადაში დასრულების მიზნით და სხვ.

რაც შეეხება სადოქტორო სკოლებს, ზემოთ აღნიშნული „სტრუქტურების“ ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შესაბამისი პროცესების მართვა - მათი დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და მუდმივი განვითარება, დოქტორანტების კრიტიკული მასის უზრუნველყოფა, დამატებითი ფინანსების მოძიება და მათი მიზნობრივად განკარგვა, ეროვნული, საერთაშორისო და ინტერსექტორული კავშირის დამყარება და სხვ. როგორც ბევრი ქვეყნისა და უნივერსიტეტის გამოცდილებამ აჩვენა, ზემოთ აღნიშნული აქტივობების კოორდინირებისათვის, ადამიანური და მატერიალური რესურსების გაერთიანებისა და ეფექტიანი გამოყენებისთვის ყველაზე მოქნილი და შედეგიანი ორგანიზაციული სტრუქტურა სწორედ სადოქტორო სკოლაა. საქართველოს ცალკეულ უნივერსიტეტში უკვე დაფუძნებულია სადოქტორო სკოლები, თუმცა მათ საქმიანობას ჯერჯერობით რეალური ზემოქმედება არ მოუხდენია და დოქტორანტურის ლანდშაფტიც ჯერჯერობით არ შეცვლილა, რაც უპირველეს ყოვლისა შესაბამისი თანხების სიმცირით ან სულაც არარსებობით აიხსნება. *აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია საქართველოს უნივერსიტეტებში სადოქტორო სკოლების ფორმირებისა და განვითარების წახალისება, მათი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა და დანერგვა.*


2.7. სადოქტორო განათლების დაფინანსება

ზალცბურგის მეათე, ბოლო პრინციპი ხაზს უსვამს სწავლების მესამე საფეხურის ადეკვატური და მდგრადი დაფინანსების მნიშვნელობას, რაც შეიძლება შეეხებოდეს სადოქტორო განათლების შემდეგ ასპექტებს: დოქტორანტების გრანტები/ხელფასები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი აქტივობები და საჭირო აღჭურვილობა, დოქტორანტურის მართვა, დოქტორანტების მხარდამჭერი სტრუქტურები და კარიერული განვითარება და სხვ. ითვლება, რომ სადოქტორო სკოლებისა და პროგრამების უზრუნველყოფა მდგრადი ფინანსური

რესურსებით გააუმჯობესებს ევროპული სადოქტორო განათლების ხარისხსაც და მის კონკურენტუნარიანობასაც საერთაშორისო მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო განათლება უნივერსიტეტების/ფაკულტეტების ნაწილმა ჯერ კიდევ 2006-2007 სასწავლო წელს დანერგა, ხოლო 2007-2008 სასწავლო წლიდან მთელი ქვეყანა სრულად გადავიდა სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე, 2014 წლამდე ფაქტობრივად არ არსებობდა სადოქტორო პროგრამების და/ან დოქტორანტების მიზნობრივად დაფინანსების სტაბილური მექანიზმი, რაც, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენდა საქართველოში დოქტორანტურის განვითარებაზე. მოკლედ მიმოვიხილავთ სადოქტორო განათლებისა და დოქტორანტების დაფინანსების იმ შესაძლებლობებსა და პროგრამებს, რომლებსაც ახორციელებენ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი⁴² და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი.


2010-2016 წლებში დოქტორანტები ფინანსდებოდნენ უცხოეთში ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების საგრანტო კონკურსის,⁴³ ხოლო 2010-2014 წლებში - ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში. 2014 წლიდან ამოქმედდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი. ინფორმაცია აღნიშნული კონკურსების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების რაოდენობისა და გამოყოფილი თანხების შესახებ დეტალურად მოცემულია ქვემოთ, ცხრილების სახით:




⁴² <https://rustaveli.org.ge/>.

⁴³ აღნიშნული კონკურსი 2017 წლიდან ჩანაცვლდა მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საგრანტო კონკურსით (ინდივიდუალური სამოგზაურო, საკონფერენციო და სეზონური სკოლების გრანტები), რომელიც განკუთვნილია როგორც დოქტორანტებისა და ახალგაზრდა, ისე გამოცდილი მეცნიერებისთვის.


წლები	საპროექტო განაცხადების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
2010	21	16
2011	29	28
2012	37	33
2013	37	33
2014	80	42
2015	30	18
2016	55	30



წლები	საგრანტო განაცხადების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
2010	208	42
2011	0	0
2012	107	77
2013	0	0
2014	105	68



წლები	საპროექტო განაცხადების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
2014	249	135
2015	376	85
2016	238	76
2017	238	41
2018	160	54
2019	203	56



წლები	სტაჟირების გრანტები	პრეზიდენტის გრანტები	დოქტორანტურის გრანტები
2010	137,953.00 ლ	603,799.00 ლ	0
2011	266,000.00 ლ	- ლ	0
2012	341,705.00 ლ	1,004,960.00 ლ	0
2013	771,191.12 ლ	- ლ	0
2014	565,307.00 ლ	922,595.00 ლ	1,935,850.50 ლ
2015	360,000.00 ლ	0	2,560,886.00 ლ
2016	484,593.00 ლ	0	2,044,000.00 ლ
2017	0	0	1,332,732.00 ლ
2018	0	0	1,911,730.00 ლ
2019	0	0	1,691,085.80 ლ

დოქტორანტების დაფინანსების ზემოთ აღნიშნული მექანიზმების გარდა, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა 2011-2019 წლებში განახორციელა რამდენიმე მიზნობრივი პროგრამა, რომლებიც მიზნად ისახავდა სადოქტორო განათლების განვითარების ხელშეწყობას. 2011 წელს ჩატარდა სახელმწიფო გრანტების კონკურსი დოქტორანტურის

საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა სამი პროექტი, ხოლო მათმა ბიუჯეტმა შეადგინა 68 000 ლარი.

2013 წელს გაიმართა „ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მხარდაჭერის“ კონკურსი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილი 11 საპროექტო წინადადებიდან დაფინანსდა 8 პროექტი, რაზეც დაიხარჯა 91 888 დოლარი.

2016 წელს ჩატარდა სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი. დარეგისტრირებული 18 პროექტიდან დაფინანსდა 8 პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 1 746 262 ლარი (სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების მოსამზადებლად და განსახორციელებლად გრანტები მოიპოვეს შემდეგმა უნივერსიტეტებმა: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემ ია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

2017 წელს ფოლკსვაგენის ფონდთან თანამშრომლობით განხორციელდა დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა, რისთვისაც გამოიყო 827 507 ლარი. კონკურსში მონაწილე 8 პროექტიდან დაფინანსდა - 4 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, ილიას სახელმწიფო და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების პროექტები საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით).⁴⁴

2017 წელს საფუძველი ჩაეყარა და დღემდე გრძელდება რუსთაველი-DAAD-ის ერთობლივი სტიპენდიების პროგრამას ახალგაზრდა მეცნიერთათვის, რომლის ფარგლებშიც 50 დოქტორანტი დაფინანსდა (2017 წ. - 7, 2018 წ. - 18, 2019 წ. - 25).

2017-2018 წლებში განხორციელდა რუსთაველის ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, რომლის ფარგლებშიც დაფინანსება მიიღო 7 მაგისტრანტმა და დოქტორანტმა.

2018 წელს რუსთაველის ფონდმა დააწესა ჯილდო წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის. წარდგენილ იქნა 23 საპროექტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 4 პროექტი და მთლიანობაში დაიხარჯა 18 500 ლარი.

2019 წელს საფუძველი ჩაეყარა კონკურსს ახალგაზრდა მეცნიერთათვის 7 სტიპენდიის მოსაპოვებლად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 61 მკვლევარმა (სტიპენდიები გაიცა შემდეგი მიმართულებებით: ნიკო კეცხოველის სახელობის სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია აგრარული მეცნიერებების მიმართულებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია

⁴⁴ იხ. აგრეთვე: <https://www.volkswagenstiftung.de/en/news-press/news/ideal-prospects-for-doctoral-training-in-georgia-armenia-uzbekistan-and-kazakhstan>.

ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით, ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის სტიპენდია ინჟინერია და ტექნოლოგიების მეცნიერებების მიმართულებით, დიმიტრი უზნაძის სახელობის სტიპენდია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით).

რუსთაველის ფონდის გარდა, დოქტორანტებს სტიპენდიებითა და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობით უზრუნველყოფს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი,⁴⁵ რომელიც სხვა აქტივობებთან ერთად ახორციელებს დოქტორანტების მხარდაჭერ რამდენიმე პროგრამას. ესენია: საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები, სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში და სასტიპენდიო პროგრამები იტალიაში, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით კვალიფიციური კადრების მომზადებას, მათ სამშობლოში დაბრუნებას და საქართველოს შრომის ბაზართან ინტეგრაციას. ქართველ დოქტორანტებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისა და კვლევის შესაძლებლობებს აძლევს ევროკომისიის დაფინანსებული, Erasmus+ სტიპენდიები დოქტორანტურის მიმართულებით⁴⁶ და მარი სკლოდოვსკა კიურის კვლევითი სტიპენდიების პროგრამებიც.⁴⁷ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც განათლების საერთაშორისო ცენტრის, ისე ევროკომისიის პროგრამებს ცალსახად აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისთვის, თუმცა რეალურ ზემოქმედებას ვერ ახდენს ქვეყანაში სადოქტორო განათლების განვითარებაზე.

ბოლო ათი წლის განმავლობაში სადოქტორო პროგრამებისა და დოქტორანტების დაფინანსების მექანიზმებისა და მათ პროფესიულ განვითარებაზე დახარჯული თანხების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას შემდეგი:

- ა) 15 წლიანი რეფორმების მანძილზე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაფინანსების მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა სწავლების მესამე საფეხურის ხარისხიან და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიან განვითარებას (მით უმეტეს, რომ დოქტორანტურა იყო პრინციპული სიახლე, რომელიც საგანგებო ფინანსურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერას საჭიროებდა);
- ბ) 2014 წლამდე ფაქტობრივად არ არსებობდა დოქტორანტების დაფინანსების მიზნობრივი პროგრამა (დოქტორანტები სარგებლობდნენ სტაჟირებისა და პრეზიდენტის გრანტებით);
- გ) 2014 წლიდან ამოქმედებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო პროგრამის ბიუჯეტი არათუ იზრდება, არამედ იკლებს და ასევე მცირდება გამოყოფილი თანხების ეფექტიანობა ინფლაციისა და ლარის კურსის გათვალისწინებით;
- დ) 2011-2019 წლებში ცალკეულ, ერთი შეხედვით პოზიტიურ ინიციატივებს გაგრძელება აღარ მოჰყოლია და არც მათი შედეგების გაანალიზება და ეფექტიანობის შეფასება მომხდარა;
- ე) დოქტორანტებისთვის არსებული სტიპენდიები (სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრისა და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ადმინისტრირებული) მისასალმებელი და მნიშვნელოვანი აქტივობაა; აუცილებელი პირობაა ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განსავითარებლად, თუმცა უშუალო გავლენას ვერ ახდენს უნივერსიტეტებში სადოქტორო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე;

⁴⁵ <https://iec.gov.ge/>.

⁴⁶ <http://erasmusplus.org.ge/>.

⁴⁷ https://ec.europa.eu/research/mariecurieactions/node_en;

<http://horizon2020.ge/?fbclid=IwAR06gvQozTLywb1VPwnQLQYOXELgIHGTx59vRuoyhI8KGokaw4vuuVwOMlg>

ვ) 2019 წლის მონაცემებით, დოქტორანტურის გრანტი მიიღო 56 სტუდენტმა, რაც დოქტორანტების საერთო რაოდენობის 0.7%-ია და აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების 2%-საც კი არ შეადგენს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად კონკურსის მიმართაც ინტერესი დიდი არ არის (2015 წელს დაფიქსირდა განაცხადების მაქსიმალური რაოდენობა - 376, ხოლო 2018 წელს - მინიმალური, 160). 2019 წელს გაკეთდა 203 განაცხადი, რაც დოქტორანტების საერთო რაოდენობის 2.4%-ს შეადგენს და აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების რაოდენობის 6%-ზე ნაკლებია. აღნიშნული ცხადყოფს დოქტორანტების მხრიდან სწავლის, კვლევისა და განვითარებისთვის რეალური ინტერესის, დროის და, შესაძლებელია, პოტენციალის ნაკლებობას. დოქტორანტების მოტივაციაზე შეიძლება უარყოფითად მოქმედებდეს გამოყოფილი თანხების სიმცირეც;

თ) როგორც უკვე აღინიშნა, ევროპაში შეინიშნება სადოქტორო განათლების დაფინანსების წყაროებისა და მექანიზმების დივერსიფიკაციის ტენდენცია და ფინანსდება არა მხოლოდ დოქტორანტების კვლევითი საქმიანობა და მასთან დაკავშირებული აქტივობები, არამედ სპეციალური თანხები გამოიყოფა დოქტორანტების/სადოქტორო სკოლების მხარდამჭერ სერვისებზეც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჩვენთანაც არსებობდეს არა მხოლოდ დოქტორანტების გრანტებით უზრუნველყოფის, არამედ ერთობლივი საერთაშორისო, ეროვნული და ინტერსექტორული, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების, სადოქტორო სკოლების დაფინანსების, კვლევითი გარემოს გასაუმჯობესებელი მექანიზმებიც (აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა 2018-2019 წლებში აღნიშნული აქტივობების დაფინანსებას, თუმცა ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა).

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლიდან ქვეყანაში გაჩნდა სადოქტორო პროგრამებისა და დოქტორანტების დაფინანსების მექანიზმები და გამოიყო გარკვეული თანხები, სწავლების მესამე საფეხურის არასაკმარისი და არამდგრადი დაფინანსება უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და უახლოეს მომავალში საჭიროებს სწრაფ და მაქსიმალურად ქმედით რეაგირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეალური საფრთხე შეექმნება ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, ერთიან ევროპულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციას, შეფერხდება ცოდნის ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირება. აღსანიშნავია, რომ დაფინანსების საკითხი 2012 წელს Erasmus+ ეროვნული ოფისის ეგიდით ჩატარებული კვლევითაც დოქტორანტურის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად დასახელდა (ნ. ჯავახიშვილი, 2012, გვ. 10) და მას შემდეგ ვითარება არსებითად არ შეცვლილა.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სადოქტორო განათლების დაფინანსების მოცულობის გაზრდა და დაფინანსების მექანიზმების დივერსიფიკაცია, დოქტორანტების კვლევითი გრანტების, ერთობლივი, სტრუქტურირებული პროგრამებისა და სადოქტორო სკოლების მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფით.

3. რეკომენდაციები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

1. სადოქტორო განათლების განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფორმირება, მისი უზრუნველყოფა სათანადო და მდგრადი დაფინანსებით, სისტემური და თანმიმდევრული იმპლემენტაციით;
2. სტრატეგიული, კომპლექსური და მასშტაბური თანამშრომლობის დამყარება ევროპის სადოქტორო განათლების საბჭოსთან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბაზაზე არსებული საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორთა საბჭოს ეგიდით და/ან ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში;
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმარტების დაზუსტება საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ და/ან უნივერსიტეტებისთვის სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების/რეკომენდაციების შემუშავება ზალცბურგის პრინციპებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაციის, სადოქტორო განათლების მოდერნიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
4. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებიც დააზუსტებს ერთობლივი საერთაშორისო, ეროვნული და ინტერსექტორული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს.
5. სადოქტორო განათლების დაფინანსების მოცულობის გაზრდა;
6. სადოქტორო განათლების დაფინანსების მექანიზმების დივერსიფიკაცია, დოქტორანტების კვლევითი გრანტების, ერთობლივი, სტრუქტურირებული პროგრამებისა და სადოქტორო სკოლების მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფით.
7. შრომის ბაზრის საჭიროებების შესწავლა სადოქტორო განათლებასთან მიმართებაში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, უნივერსიტეტებსა და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით;

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

8. ერთობლივი საერთაშორისო, ეროვნული და ინტერსექტორული დოქტორანტურის დაფინანსებისთვის სპეციალური საგრანტო პროგრამების შექმნა და დანერგვა;
9. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამებისა და სადოქტორო სკოლების დაფინანსებისთვის სპეციალური საგრანტო პროგრამების შექმნა და დანერგვა;

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

10. აკრედიტაციის სტანდარტების დივერსიფიკაცია - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებისთვის განსხვავებული მიდგომების შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კვლევითი კომპონენტისა და დოქტორანტურის სხვა სპეციფიკური ასპექტების უფრო კომპლექსური შეფასება;
11. აკრედიტაციის სტანდარტების დივერსიფიკაციის პროცესში იმ ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება, სადაც დოქტორანტურის აკრედიტაცია სავალდებულოა;
12. სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში კვლევითი გარემოსა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არსებითი შეფასება, როგორც გაზომვადი კრიტერიუმების, ისე

კოლეგიალური შეფასების გამოყენებით, სხვადასხვა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

13. სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის რეგულირების მექანიზმების ასახვა;
14. სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში ინტერნაციონალიზაციის გამოყოფა დამოუკიდებელ კომპონენტად, რომლის შეფასების დროსაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ისეთი საკითხები, როგორცაა დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციები, უცხოელი სპეციალისტის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესში და სხვ.;
15. სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების კრიტერიუმებად დოქტორანტურის სპეციფიკური მოთხოვნების განსაზღვრა;

სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

16. დოქტორანტურის „ფილოსოფიის“ უკეთ გააზრება და სადოქტორო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის მოდერნიზაცია ზალცბურგის პრინციპებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით;
17. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის ფორმირებისას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისგან განსხვავებული, სწავლების უფრო მოქნილი ფორმატის, ელექტრონული და შერეული სწავლების ინტენსიური და ეფექტიანი გამოყენება, ზრდასრულთა განათლების სპეციფიკური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა;
18. ორმაგი და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ერთობლივი პროგრამების განხორციელება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
19. წამყვან დასავლურ უნივერსიტეტებში ფართოდ გავრცელებული სპეციალიზებული სახელმძღვანელოების გამოყენება სამეცნიერო ხელმძღვანელთა პროფესიული განვითარებისთვის, პროფესიული განვითარების ღონისძიებების ორგანიზება (ტრენინგი, ვორკშოპი, სემინარი), გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება როგორც ინსტიტუციის შიგნით, ისე სხვადასხვა დაწესებულებებს შორის;
20. მხარდამჭერი სტრუქტურების შექმნა დოქტორანტების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის;
21. დოქტორანტების ცნობიერების ამაღლება კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე;

განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს:

22. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების დანერგვის შემდეგ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის ეფექტიანობის კვლევა;

4. გამოყენებული ლიტერატურა:

საკანონმდებლო აქტები:

- ❖ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის დადგენილება N533 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ს დამტკიცების შესახებ“
https://www.mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf

სარეკომენდაციო ლიტერატურა:

- ❖ Ministerial Meeting and Berlin Communiqué, 2003;
http://www.ehea.info/media.ehea.info/file/2003_Berlin/28/4/2003_Berlin_Communique_English_577284.pdf
- ❖ Bologna Seminar “Doctoral Programmes for the European Knowledge”, Salzburg 2005, Conclusions and Recommendations;
ბოლონიის სემინარი „სადოქტორო პროგრამები ევროპის ცოდნის საზოგადოებისთვის“, ზალცბურგი 2005, დასკვნები და რეკომენდაციები („ზალცბურგის პრინციპები“)
<https://eua.eu/resources/publications/626:salzburg-2005-%E2%80%93-conclusions-and-recommendations.html>
- ❖ Salzburg II Recommendations. European Universities’ Achievements since 2005 in Implementing the Salzburg Principles, European Universities Association, 2010
ევროპული უნივერსიტეტების მიღწევები 2005 წლის შემდეგ ზალცბურგის პრინციპების იმპლემენტაციის პროცესში („ზალცბურგი II - რეკომენდაციები“)
<https://eua.eu/resources/publications/615:salzburg-ii-%E2%80%93-recommendations.html>
- ❖ Doctoral Education Taking Salzburg Forward. Implementation and New Challenges, European Universities Association, 2016
https://www.eua-cde.org/downloads/publications/2016_euacde_doctoral-salzburg-implementation-new-challenges.pdf

სახელმძღვანელოები:

- ❖ Helmut Brentel, Doctoral Supervision, Handbook for Establishing a Productive and Supportive Supervision Culture, HB Publishing, Frankfurt am Main, 2019
- ❖ Stan Taylor, Margaret Kiley, Robin Humphrey, A Handbook for Doctoral Supervisors, Routledge, 2018;
- ❖ A handbook for supervisors of modern doctorate candidates, Insights from Practice, SuperProfDoc, 2017;
<https://superprofdoc.eu/wp-content/uploads/2017/09/SuperProfDoc-handbook-2017.pdf>

- ❖ Doctoral Supervision, Recommendations and Good Practice for Universities and Doctoral Supervisors, UniWind Publications, Issue 4, 2015
https://www.uniwind.org/fileadmin/user_upload/Publikationen/UniWiND_Bd4_Englisch_web.pdf
- ❖ Lidia Borrell-Damian, Collaborative Doctoral Education, DOC-CAREERS Project, University-Industry Partnerships for Enhancing Knowledge Exchange, EUA PUBLICATIONS 2009
https://eua-cde.org/downloads/publications/2009_borrell-damianl_c-doctoral-enhancing-knowledge-exchange.pdf
- ❖ Lidia Borrell-Damian, Rita Morais, John H. Smith, Collaborative Doctoral Education in Europe: Research Partnerships and Employability for Researchers, Report on DOC-CAREERS II Project, EUA Publications, 2015
https://eua-cde.org/downloads/publications/2015_borrell-damianl_collaborative-doctoral-doc-ii-project.pdf
- ❖ EMQA – Erasmus Mundus Quality Assessment 2012, Handbook of Excellence – Doctoral Programmes, September 2012
https://eacea.ec.europa.eu/sites/eacea-site/files/handbook_of_excellence_2012_doctoral_en.pdf
- ❖ National Framework for Doctoral Education of Ireland
<https://www.iaa.ie/publications/national-framework-for-doctoral-education-2015/>
- ❖ Quality Assurance in Postgraduate Education, ENQA Workshop Report 12, Helsinki 2010
<https://enqa.eu/indirme/papers-and-reports/workshop-and-seminar/ENQA%20workshop%20report%2012.pdf>

კვლევები:

- ❖ David Cherkezishvili, Tamar Sanikidze, Paul Gibbs, Modern Challenges: the Socio-Political Issues of Introducing Professional and Practice in Doctoral Education in the Emerging Economy of Georgia, Quality in Higher Education, 2020
- ❖ Irine Darchia, Lika Glonti, Irma Grdzeldze, Tamar Sanikidze, Ketii Tsojniashvili, Analysis of Development and Implementation of the Authorization Mechanism for Higher Education Institutions, Erasmus+ National Office Georgia, 2019
<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/ENG/QA%20System%20Implementation.pdf>
- ❖ ლალი ბაქრაძე, თამარ ბრეგვაძე, ქეთევან გურჩიანი, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო ურუშაძე, ლიკა ღლონტი, სიმონ ჯანაშია. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში, Erasmus+ კვლევის ანგარიში, 2016
<http://erasmusplus.org.ge/files/files/Plagiat-ge-2016.pdf>
- ❖ World Bank, Georgia Education Policy Note, 2016
- ❖ ქეთევან გურჩიანი, თამარ ბრეგვაძე, სიმონ ჯანაშია, მარიამ დალაქიშვილი, ნინო რჩეულიშვილი, ქეთევან ცოტნიაშვილი. სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში, ტემპუსი, კვლევის ანგარიში, 2014
<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/PhD%20Quality%20Enhancement%20ge.pdf>
- ❖ Joanne Byrne, Thomas Jorgensen, Tia Loukkola, Quality Assurance in Doctoral Education – Results of the ARDE Project, 2013
<https://eua-cde.org/reports-publications/46:quality-assurance-in-doctoral-education-results-of-the-arde-project.html>
- ❖ World Bank, Georgia: Skills Mismatch and Unemployment Labour Market Challenges, 2013

- ❖ ნინო ჯავახიშვილი, ფატმან წერეთელი, ნათია ხუჯაძე, თინათინ თიაბაშვილი. სადოქტორო განათლება საქართველოში, ტემპუსი, კვლევის ანგარიში, 2012
<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Research%20Projects/GEO/Doctoral%20Education%20in%20Georgia%20-%20ge.pdf>
- ❖ Study on the Organisation of Doctoral Programmes in EU Neighbouring Countries, Practices, Developments and Regional Trends, Final synthesis, Technopolis, 2010
- ❖ Study on the Organisation of Doctoral Programmes in EU Neighbouring Countries, Practices, Developments and Regional Trends, Georgia, Technopolis, 2010

ანგარიშები:

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის ანგარიშები:

- ❖ 2010 წლის ანგარიში -
https://old.rustaveli.org.ge/upload/editor/file/cliuri_angarishi/2010/index.html
- ❖ 2011 წლის ანგარიში -
https://old.rustaveli.org.ge/upload/editor/file/grantis_mimgebatvis/2013/angarishi%202011.pdf
- ❖ 2012 წლის ანგარიში -
https://old.rustaveli.org.ge/upload/editor/file/grantis_mimgebatvis/W%20E%20B/AR%202012.pdf
- ❖ 2013 წლის ანგარიში -
https://old.rustaveli.org.ge/upload/editor/file/grantis_mimgebatvis/W%20E%20B/AR%202013.pdf
- ❖ 2014 წლის ანგარიში -
<https://old.rustaveli.org.ge/upload/editor/file/2015%20weli/angariSi%202014.pdf>
- ❖ 2015 წლის ანგარიში - <https://rustaveli.org.ge/images/Files/wlirui-angarishi/2015-wlirui-angarishi.pdf>
- ❖ 2016 წლის ანგარიში -
<https://rustaveli.org.ge/images/angarishi%202016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20-09.02.17.pdf>
- ❖ 2017 წლის ანგარიში -
<https://rustaveli.org.ge/images/2018%20clis%20konkursebi/JURNALI%20cliuri%20axali%2023.01.18.pdf>
- ❖ 2018 წლის ანგარიში -
<https://rustaveli.org.ge/res/docs/806a9b3407e3b85b834828242b04aa48b4d193fd.pdf>
- ❖ 2019 წლის ანგარიში -
<https://rustaveli.org.ge/res/docs/ad77b7f668e09c1d86c8bb11ad2e0238d0f0a7b4.pdf>

ორგანიზაციები:

- ❖ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
<http://mes.gov.ge/>
- ❖ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
<https://rustaveli.org.ge/>
- ❖ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
<https://eqe.ge/>
- ❖ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი
<https://iec.gov.ge/>

❖ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

<https://emis.ge/>

❖ Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი

<http://erasmusplus.org.ge/>

❖ ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო

<https://eua-cde.org/>

„ზალცბურგის პრინციპები“ – 2005

- I. სადოქტორო განათლების მთავარი კომპონენტი არის ცოდნის განვითარება ორიგინალური კვლევის საშუალებით. იმავდროულად აღიარებულია, რომ სადოქტორო განათლებამ სულ უფრო მეტად უნდა დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, რაც უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე აკადემია/აკადემიური საზოგადოება.
- II. სადოქტორო განათლების გათვალისწინება ინსტიტუციურ სტრატეგიებსა და პოლიტიკაში: უნივერსიტეტებმა როგორც ინსტიტუციებმა უნდა იტვირთონ პასუხისმგებლობა და უზრუნველყონ ახალი გამოწვევების შესაბამისი სადოქტორო პროგრამები და „სამეცნიერო-კვლევითი სწავლება“, შესაბამისი კარიერული წინსვლის შესაძლებლობები.
- III. მნიშვნელოვანია მრავალფეროვნება: სადოქტორო პროგრამების ნაირსახეობა ევროპაში - მათ შორის ერთობლივი პროგრამებისა - არის ძალა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ხარისხი და საუკეთესო პრაქტიკა.
- IV. დოქტორანტები როგორც ახალგაზრდა მკვლევარები: აღიარებული უნდა იქნან როგორც პროფესიონალები - შესაბამისი უფლებებით - რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ახალი ცოდნის შექმნაში.
- V. სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და შეფასების საკვანძო როლი: თითოეულ დოქტორანტთან მიმართებაში სამეცნიერო ხელმძღვანელობასა და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს ტრანსპარენტული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში, სადაც პასუხისმგებლობა გადანაწილდება დოქტორანტს, სამეცნიერო ხელმძღვანელსა და დაწესებულებას შორის (საჭიროების შემთხვევაში სხვა პარტნიორებს შორისაც).
- VI. კრიტიკული მასის მიღწევა: სადოქტორო პროგრამები უნდა ცდილობდეს კრიტიკული მასის მიღწევას და უნდა ეფუძნებოდეს ევროპული უნივერსიტეტების სხვადასხვა ტიპის ინოვაციურ გამოცდილებას, გათვალისწინებით იმისა, რომ სხვადასხვა კონტექსტში პრობლემა შეიძლება განსხვავებულად გადაიჭრას და ეს ეხება როგორც დიდ, ისე პატარა ევროპულ ქვეყნებს. უნივერსიტეტების ნაწილში ეს შეიძლება იყოს სადოქტორო სკოლები, ხოლო ნაწილში თანამშრომლობა უნივერსიტეტებს შორის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;
- VII. ხანგრძლივობა: სადოქტორო პროგრამები უნდა ფუნქციონირებდეს სათანადო დროის განმავლობაში (როგორც წესი, სამიდან ოთხ წლამდე).
- VIII. ინოვაციური სტრუქტურების წახალისება: რათა გაუმკლავდეს ინტერდისციპლინური სწავლების და ტრანსფერული უნარების განვითარების გამოწვევას.
- IX. მობილობის გაზრდა: სადოქტორო პროგრამები უნდა გვთავაზობდეს გეოგრაფიულ, ინტერდისციპლინურ და ინტერსექტორულ მობილობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას უნივერსიტეტებისა და სხვა პარტნიორების ინტეგრირებული კოოპერაციის ფარგლებში.
- X. სათანადო დაფინანსების უზრუნველყოფა: სადოქტორო განათლების ხარისხის განვითარება და დოქტორანტების მიერ პროგრამის წარმატებით დასრულება საჭიროებს სათანადო და მდგრად დაფინანსებას.

ზალცბურგის პრინციპები II – 2010

1. კვლევა როგორც საფუძველი და განსხვავება

ზალცბურგის პირველი პრინციპის თანახმად, სადოქტორო განათლების მიზანია კვლევითი აზროვნების კულტივირება, აზროვნების მოქნილობის, კრეატიულობისა და ინტელექტუალური ავტონომიის განვითარება ორიგინალური, კონკრეტული კვლევითი პროექტის საშუალებით. სწორედ კვლევის პრაქტიკა აყალიბებს ამ ტიპის აზროვნებას.

სადოქტორო კვლევა ხორციელდება კვლევით გარემოში, სადაც დოქტორანტები არიან გრანტიორი/სტიპენდიანტი მკვლევარები (fellow researchers), რაც იმას ნიშნავს, რომ ინსტიტუციებმა სადოქტორო განათლების სტრატეგია უნდა დააფუძნონ თავიანთ კვლევით შესაძლებლობებს, კრიტიკულ მასას, მრავალფეროვნებას, ისეთ ინკლუზიურ გარემოს, რომელიც დოქტორანტებს მიმდინარე კვლევების აქტიურ მონაწილეებად აქცევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითია, რომ სადოქტორო განათლება ვითარდებოდეს საკუთარი გზით და არ უნდა იყენებდეს იმავე ინსტრუმენტებს, რომლებიც სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე გამოიყენება.

სტრუქტურის მნიშვნელობა

სადოქტორო განათლების სტრუქტურირება დამხმარე გარემოს შექმნაა. სტრუქტურების ფორმირება ნიშნავს ინსტიტუციური პასუხისმგებლობის აღებას, რომ - ზალცბურგის მეორე პრინციპის თანახმად - მოხდეს სწავლება სამეცნიერო-კვლევების საშუალებით. სადოქტორო განათლება ინდივიდუალური მოგზაურობაა, რომლის დროსაც სტრუქტურები ინდივიდუალურ განვითარებას უწყობენ ხელს და არა ერთგვაროვნებასა და წინასწარ განსაზღვრულობას. სადოქტორო განათლების სტრუქტურირება მიზნად უნდა ისახავდეს მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს - როგორც სადოქტორო განათლების საფუძვლის - უზრუნველყოფას. ეს გულისხმობს კრიტიკულ მასას, დოქტორანტურაში მიღების გამჭვირვალე პროცედურას და მაღალი ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

სადოქტორო განათლების სტრუქტურირება ნიშნავს მოქნილი სტრუქტურების შექმნას, რათა ახალგაზრდა მკვლევარებს მიეცეთ მრავალფეროვანი შესაძლებლობები პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის, ინსტიტუციური მხარდაჭერა კარიერული წინსვლისა და მობილობისთვის. სასწავლო კურსები უნდა დავინახოთ როგორც დამხმარე საშუალება დოქტორანტის ინდივიდუალური პროფესიული განვითარებისთვის და არა როგორც სტრუქტურის ცენტრალური ელემენტი.

ზალცბურგის მესამე პრინციპის თანახმად, სტრუქტურების ფორმირებისას საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება მრავალფეროვნებას. ბევრი სხვადასხვაგვარი სტრუქტურა და განსხვავებული სტრატეგია გაამდიდრებს სადოქტორო განათლებას ევროპაში.

სტრუქტურები უნდა ჩამოყალიბდეს მმართველობის შესაბამის დონეზე და არ უნდა იქნას ბოროტად გამოყენებული ინსტიტუციის ფარგლებში. არსებითია, რომ ეს სტრუქტურები

გაითავისოს აკადემიურმა პერსონალმა და იგრძნოს მათზე პასუხისმგებლობა ინკლუზიური პროცედურების საშუალებით.

2. წარმატების გასაღები

2.1. კრიტიკული მასა და კრიტიკული მრავალფეროვნება

სადოქტორო განათლება დამოკიდებულია კვლევით გარემოზე. მაღალი ხარისხის სადოქტორო განათლების უზრუნველსაყოფად დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ კრიტიკული მასა და კვლევის მრავალფეროვნება. კრიტიკული მასა გულისხმობს არა იმდენად მკვლევართა დიდ რაოდენობას, რამდენადაც თავად კვლევის ხარისხს. ზალცბურგის მეექვსე პრინციპის თანახმად, ევროპულ უნივერსიტეტებში დაინერგა განსხვავებული სტრატეგიები კრიტიკული მასისა და მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, რომელთა წყალობით იქმნება ძლიერი სივრცეები ფოკუსირებული კვლევითი სტრატეგიებით, დიდი კვლევითი ქსელების ფარგლებში თანამშრომლობით და რეგიონულ კლასტერებში ჩართულობით.

2.2. დოქტორანტების რეკრუტირება, მიღება და სტატუსი

სტრუქტურირებულ სადოქტორო პროგრამებს უნდა ჰქონდეთ რეკრუტირების სტრატეგია, რომელიც შეესაბამება მათ მისიასა და პროფილს. რეკრუტირების სტრატეგია უნდა უკავშირდებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ შედეგებს, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს სასურველი კანდიდატების პროფილს. ასეთი პროფილი უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა თვისების პატივისცემის პარიტეტულობას და უნდა უზრუნველყოს შესაძლებლობათა თანასწორობა. ამგვარად, რეკრუტირების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა საერთაშორისო რეკრუტიმენტი, გენდერული თანასწორობა, სოციალური ფონი და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი. რეკრუტირებისას დოქტორანტობის კანდიდატების წარსულ მიღწევებზე მეტად უნდა დაფასდეს მათი კვლევითი პოტენციალი და განსაკუთრებით მათი შესაძლებლობა მიაღწიონ წარმატებას იმ პროგრამაზე, რომელზეც მათი მიღება ხდება.

დოქტორანტების მიღება ინსტიტუციური პასუხისმგებლობაა და მასში აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამეცნიერო პერსონალი. დოქტორანტების მიღების პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და უნდა ასახავდეს ინსტიტუციის კვლევით, ფინანსურ და სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს. მიღების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს სათანადო მოქნილობას სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევის პროცესში. გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას გააძლიერებს დოქტორანტების მიღება ერთ, კონკრეტულ, იდენტიფიცირებად ადგილას, თუნდაც თითოეული პროგრამის შემთხვევაში. დოქტორანტების მიღება უნდა ეფუძნებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ, საჯარო კრიტერიუმებს. დოქტორანტების მიღებისას დაწესებულებებს შეუძლიათ გარისკონ და დოქტორანტებს მისცენ თავიანთი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობა მონიტორინგის სისტემის საშუალებით.

დოქტორანტები აღიარებულ უნდა იქნან როგორც ახალგაზრდა მკვლევარები შესაბამისი უფლებებითა და მოვალეობა-ვალდებულებებით. სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, ისინი უნდა დავიწახოთ და მათ უნდა მოვექცეთ როგორც პროფესიონალებს, ზალცბურგის მეოთხე პრინციპის თანახმად.

2.3. სამეცნიერო ხელმძღვანელობა

ზალცბურგის მეხუთე პრინციპის თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელობა საკვანძო როლს ასრულებს. სამეცნიერო ხელმძღვანელობა მოითხოვს კოლექტიურ ძალისხმევას - ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელთა გუნდის, დოქტორანტის, სადოქტორო სკოლის, კვლევითი ჯგუფის და თავად დაწესებულების მკაფიოდ განსაზღვრულ და წერილობით პასუხისმგებლობებს, სადაც დარჩება ადგილი დოქტორანტის ინდივიდუალური განვითარებისთვის. სამეცნიერო ხელმძღვანელების პროფესიული განვითარება ინსტიტუციური პასუხისმგებლობაა, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც ფორმალური ტრენინგით, ისე პერსონალს შორის გამოცდილების არაფორმალური გაზიარებით. სადოქტორო სკოლის პრიორიტეტად უნდა იქცეს სამეცნიერო ხელმძღვანელობის საერთო კულტურის ფორმირება, რომელსაც გაიზიარებენ სამეცნიერო ხელმძღვანელები, სადოქტორო სკოლის ლიდერები და დოქტორანტები. სამეცნიერო ხელმძღვანელები უნდა იყვნენ მოქმედი მკვლევარები.

2.4. შედეგები

სადოქტორო განათლების მთავარი შედეგი ახალგაზრდა მეცნიერები და ის წვლილია, რომელიც მათ შეაქვთ საზოგადოების განვითარებაში კვლევის განხორციელებით შეძენილი ცოდნით, კომპეტენციებითა და უნარებით, აგრეთვე სხვა დისციპლინებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება და მათ მიმართ ღიაობა, გახსნილობა. დოქტორანტების კვლევის შედეგი უნდა ადასტურებდეს კვლევის ორიგინალობას და შესაფერისი უნდა იყოს სამეცნიერო საზოგადოებაში გავრცელებისთვის.

2.5. კარიერის განვითარება

დოქტორანტების კარიერული მხარდაჭერა უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ მიზნებსა და მოტივებს/მოტივაციას და აღიარებდეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა კარიერის მთელ რიგ შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ დოქტორანტი თავადაა პასუხისმგებელი საკუთარ კარიერულ არჩევანზე, შრომის ბაზარზე არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დაწესებულება ვალდებულია მას შესთავაზოს მხარდამჭერი სტრუქტურები პროფესიული განვითარებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანსფერული უნარების განმავითარებელი ტრენინგები, მათ შორის კვლევის ეთიკის შესახებ, რაც სადოქტორო სკოლებისა და პროგრამების პრიორიტეტად უნდა იქცეს. დოქტორანტების პროფესიული განვითარება გულისხმობს აგრეთვე ცნობიერების ამაღლებას კვლევის საშუალებით შეძენილი უნარების თაობაზე, ისევე როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა მთელი რიგი კარიერული შესაძლებლობების შესახებ. სხვა სექტორებთან კავშირების დამყარება ხელს უწყობს პოტენციურ დამსაქმებლებსა და რეკრუტერებთან კომუნიკაციური ვაკუუმის შევსებას.

2.6. კრედიტები

კრედიტების სისტემის გამოყენება, რომელიც შეიქმნა სწავლების პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის არ არის აუცილებელი წინაპირობა წარმატებული სადოქტორო პროგრამების შესაქმნელად. ზოგიერთ უნივერსიტეტს კრედიტები სასარგებლოდ მიაჩნია სადოქტორო

განათლების სასწავლო კომპონენტისთვის, განსაკუთრებით დაწესებულებებს შორის, ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში.

კრედიტებს არავითარი აზრი არ აქვს კვლევითი კომპონენტის ან მასთან დაკავშირებული შედეგების გასაზომად. არასწორად გამოყენებული ხისტი კრედიტები შეიძლება საზიანო გახდეს დამოუკიდებელი მკვლევარებისთვის. მაღალი ხარისხის სადოქტორო განათლებას სჭირდება მასტიმულირებელი კვლევითი გარემო, რომელსაც ენთუზიაზმი, ცნობისმოყვარეობა და შემოქმედებითობა წარმართავს და არა კრედიტების შეგროვების მოტივაცია.

2.7. ხარისხი და ანგარიშვალდებულება

აუცილებელია სადოქტორო განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკური სისტემის განვითარება, რომელიც დაეფუძნება ინსტიტუციურ მისიას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ინსტიტუციურ კვლევით სტრატეგიას. სწორედ ამიტომ არსებობს მჭიდრო კავშირი დაწესებულების კვლევის შეფასებასა და იმ კვლევითი გარემოს შეფასებას შორის, რაც სადოქტორო განათლების ქვაკუთხედაა. სადოქტორო განათლების აკადემიური ხარისხის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს კოლეგიალურ შეფასებას და ითვალისწინებდეს დარგობრივ თავისებურებებს.

სადოქტორო პროგრამების ხარისხზე ანგარიშვალდებულების მიზნით, დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ინდიკატორები, რომლებიც დაეფუძნება ისეთ ინსტიტუციურ პრიორიტეტებს, როგორცაა ინდივიდუალური წინსვლა, კვლევაზე დახარჯული დრო, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, ტრანსფერული უნარები, კარიერული განვითარებისთვის თვალის მიდევნება, ახალგაზრდა მკვლევარების კვლევის შედეგების გავრცელება, როგორც მკვლევრის პროფესიული განვითარების, ისე კვლევით პროექტის პროგრესის გათვალისწინებით.

2.8. ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია უნდა იყოს სადოქტორო განათლების ხარისხის გაუმჯობესების და ინსტიტუციური კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერების ინსტრუმენტი. სადოქტორო განათლების ინტერნაციონალიზაცია სხვადასხვაგვარად გაიაზრება და განიმარტება, მათ შორის როგორც ინტერნაციონალიზაცია „სახლში“ (მშობლიური უნივერსიტეტის საერთაშორისო პროფილის გამოყენება, როგორცაა უცხოელი დოქტორანტები და პერსონალი, საერთაშორისო ღონისძიებები და მოწვეული უცხოელი მკვლევარები), თანამშრომლობითი სადოქტორო პროგრამები (ინდივიდუალური მობილობა - როგორცაა ე.წ. კოტუტელე), საერთაშორისო ერთობლივი სადოქტორო პროგრამები (ერთობლივი, ინტეგრირებული კურიკულუმი, ერთობლივი კომისიები და ჟიური, ერთობლივი ხარისხი). ზალცბურგის მეცხრე პრინციპის თანახმად, სადოქტორო განათლება უნდა გულისხმობდეს მობილობის შესაძლებლობას. არჩევანი ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მოდელებს შორის უნდა შეესაბამებოდეს ინსტიტუციის კვლევით სტრატეგიას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. დოქტორანტების მობილობის წარმმართველი უნდა იყოს კვლევითი პროექტი. ევროპაში სადოქტორო სკოლების რაოდენობის ზრდა ძალიან შთამბეჭდავია. ბევრი რამ გაკეთდა რეფორმების განხორციელებისა და სადოქტორო განათლების უწყვეტი განვითარებისთვის. უნივერსიტეტებმა დაამტკიცეს, რომ მათ აქვთ ნება და ექსპერტული ცოდნა სადოქტორო განათლების სრული მოდერნიზაციისთვის, თუმცა მათ კვლავ ხვდებათ დაბრკოლებები თავისი ამბიციური მიზნების განხორციელების გზაზე.

3.1. დაფინანსება

ზალცბურგის მეათე, ბოლო პრინციპი ხაზს უსვამს მდგრადი დაფინანსების მნიშვნელობას. უნივერსიტეტებიც და დოქტორანტებიც ჯერ კიდევ არ არიან სათანადოდ დაფინანსებული. მაღალი ხარისხის სადოქტორო განათლება მოითხოვს ადეკვატურ, მდგრად და დოქტორანტურის შესაბამის დაფინანსების შესაძლებლობებს.

წარმატებული სტრუქტურული სადოქტორო პროგრამა მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე გრანტების, დოქტორანტების ხელფასების და კვლევით აღჭურვილობის დაფინანსებაა. სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, მხარდამჭერ/დამხმარე სტრუქტურებსა და კარიერულ განვითარებას - ყველაფერს სჭირდება რესურსები. იგივე ითქმის იმ ფიზიკური სივრცის მენეჯმენტზე, სადაც პროგრამა ხორციელდება. ექსპერიმენტირება ახალი ტიპის კვლევითი გარემოთი, ღია ოფისები, რეკრეაციული ან მსგავსი ზონები ეფექტიანი აღმოჩნდა ინკლუზიური კვლევითი საზოგადოების ფორმირებისთვის. მთავრობები და დამფინანსებელი ორგანიზაციები სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებული საკითხების ინიცირებისას უნდა იცნობდნენ სადოქტორო განათლების საჭიროებებს.

დოქტორანტების რეკრუტირებისთვის სადოქტორო სკოლებისა და პროგრამების უზრუნველყოფა მდგრადი ფინანსური რესურსებით გააუმჯობესებს ევროპული სადოქტორო განათლების კონკურენტუნარიანობას. მაღალი ხარისხის სადოქტორო სკოლებისთვის გრანტებისა და ხელფასების ადმინისტრირების უფლების მინიჭება გააძლიერებს სადოქტორო სკოლების შესაძლებლობებს, რომ მოქნილი რეკრუტირების სტრატეგიით მოიზიდონ თავიანთი პროფილის საუკეთესო კანდიდატები. დაფინანსების სქემები, რომლებიც მიზნად ისახავს დოქტორანტების რაოდენობის ზრდას, უნდა ითვალისწინებდეს პროგრამების ხარისხსა და შესაძლებლობებს.

3.2. ავტონომიურობა

ინსტიტუციებს სჭირდებათ ავტონომიურობა, რათა შექმნან და იყონ ანგარიშვალდებული განსხვავებული კვლევითი სტრატეგიებისა და სიძლიერის მქონე, სხვადასხვა სტრუქტურების გამო. გადაწყვეტილება სპეციფიკური ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ დაწესებულებაში უნდა მიიღებოდეს დამოუკიდებლად, სადოქტორო პროგრამის პროფილისა და დოქტორანტის საჭიროებების შესაბამისად.

3.3. სამართლებრივი ჩარჩო

ეროვნული და ევროპული სამართლებრივი ჩარჩოები დაწესებულებებს საშუალებას უნდა აძლევდეს, ჩაერთონ ინოვაციურ სადოქტორო პროგრამებში და იტვირთონ შესაბამისი ინსტიტუციური პასუხისმგებლობა.

დაწესებულებებს უნდა შეეძლოთ ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სისტემების დამოუკიდებლად განვითარება ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში. მათ უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, ხარისხის შეფასებისთვის შეიმუშაონ საკუთარი ინდიკატორები, ცალკეული დარგის სტანდარტებისა და საერთო ინსტიტუციური სტრატეგიის შესაბამისად.

ერთობლივი და ორმაგი აკადემიური ხარისხის მინიჭების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა უნდა გადაიხედოს/გადაისინჯოს, რათა გამარტივდეს საერთაშორისო თანამშრომლობა. მიზნად უნდა დავისახოთ ერთობლივ და ორმაგ აკადემიურ ხარისხებთან დაკავშირებული მოთხოვნების მეტი გამართულობა და გამჭვირვალობა.

3.4. ინტერსექტორული თანამშრომლობა

ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა მიიღოს ზომები სადოქტორო განათლების პროვაიდერებსა და არა აკადემიურ სექტორს შორის თანამშრომლობის გამარტივებისთვის ყველა პარტნიორის საერთო ინტერესების გათვალისწინებით. არსებითია ინფორმაციის გავრცელება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონეთა გამორჩეულობის შესახებ, ისევე როგორც ნდობის დამყარება უნივერსიტეტებსა და სხვა სექტორებს შორის. ასეთი ნდობა, მაგალითად, ეფუძნება ფორმალიზებულ, მაგრამ მოქნილ კვლევასა და კვლევით თანამშრომლობას ინდუსტრიასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ერთობლივი კვლევითი პროექტების, ინდუსტრიული დოქტორანტურისა და მსგავსი სქემების ჩათვლით.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობა

სადოქტორო განათლების ძირითად მახასიათებლებთან

პროგრამაზე დაშვება

აკრედიტაციის სტანდარტები	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>	<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.</p>

დოქტორანტების რაოდენობა

აკრედიტაციის სტანდარტები		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		
4.1. ადამიანური რესურსი		
აღწერილობა	შეფასების კრიტერიუმი	ინდიკატორი/მტკიცებულებები
<p>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და</p>	<p>მაგისტრანტების და დოქტორანტების რაოდენობა შეესაბამება</p>	<p>ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა;</p>

<p>მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.</p>	<p>მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას;</p>	
--	---	--

სამეცნიერო ხელმძღვანელობა

<p>აკრედიტაციის სტანდარტები</p>	
<p>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</p>	
<p>2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>	
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>	<p>პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.</p>
<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>	
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>	<p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.</p>
<p>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</p>	
<p>3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>	
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>	<p>მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს</p>

	<p>საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;</p> <p>უსდ-ს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტები;</p> <p>ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.</p>
<p>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</p>	
<p>4.1. ადამიანური რესურსი</p>	
<p>პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.</p>	<p>დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის/დოქტორანტის სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო</p>	<p>მაგისტრანტების და დოქტორანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას.</p>

<p>პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.</p>	
---	--

კვლევითი გარემო

აკრედიტაციის სტანდარტები	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	
<p>პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.</p>	<p>აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას.</p>
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	
<p>უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>	<p>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები;</p> <p>უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად</p> <p>შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა).</p> <p>პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.</p>
4.3. მატერიალური რესურსი	
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა</p>	<p>პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც</p>

<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>	<p>რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;</p> <p>სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
---	---

დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმები

<p>აკრედიტაციის სტანდარტები</p>	
<p>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</p>	
<p>2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>	
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>	<p>პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</p>	
<p>3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p>	
<p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p>	<p>სტუდენტი იღებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.</p>

კავშირი შრომის ბაზართან

<p>აკრედიტაციის სტანდარტები</p>	
<p>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</p>	

1.1. პროგრამის მიზნები	
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.	პროგრამის მიზნები: ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას	პროგრამის სწავლის შედეგები: შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია

აკრედიტაციის სტანდარტები	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება	
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.	პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით; სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ; სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

დისერტაციის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტები	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.6 სტუდენტების შეფასება	
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის

	<p>პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ;</p> <p>სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით;</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის/შემფასებლების მონაწილეობა;</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა.</p>
--	--